გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
**სამშაბათი, 22 ნოემბერი, 2005 წელი.**
№271 (5304)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◉ წინაპარი

# დედამშვილობამ, ბევრს არ გთხოვ...

## გუშინ მთაწმინდის მიწამ მიიბარა ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი









**აღსრულდა საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ანდერძი, რომელიც მან 75 წლის წინათ დაიბარა. გუშინ მისი ნეშტი საქართველოს უწმინდეს ადგილს — მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს მიაბარეს.**

ქაქუცა, იგივე ქაიხოსრო, ჩოლოყაშვილი დაიბადა 1888 წელს კახეთში, სოფელ მატანში. დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ქართულ ჯარში დაიწყო სამსახური და მონაწილეობდა ყველა ბრძოლაში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ იმ პერიოდში გადაიტანა.

1921 წელს რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა უცხოეთში გადაიხვეწა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამშობლოში დარჩა და გადაწყვიტა, იარაღით ებრძოლა ქვეყნის გათავისუფლებისთვის. მან ჩამოაყალიბა კახეთში პირველი მებრძოლების ჯგუფი — საქართველოს შეფიცულები. 1922 წლის ივნისში ჩოლოყაშვილი პირველად შეება წითელ ჯარს, რამაც დასაბამი მისცა საქართველოს მრავალწლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის.

1924 წლის 29 აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება მარცხით დასრულდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი მებრძოლები იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1930 წლის 27 ივლისს, პარიზში გარდაიცვალა. იგი ჯერ სენტ-უანის სასაფლაოზე დაკრძალეს, შემდეგ კი ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე გადაასვენეს.

იხ. მე-2 გვ.

### ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელი ფოტოსურათი



იხ. მე-3 გვ.

◉ ინფორმაცია

### ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი დაერქმევა

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი დაერქმევა.

ამ ინიციატივით თბილისის მერს საკრებულო მიმართავს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირის სახელი, სავარაუდოდ, ვაკის პარკის მიმდებარე მოედნიდან ვაკის სასაფლაომდე არსებულ ტერიტორიას დაერქმევა.

### ბანკნოტი — ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტით

200 ლარის ნომინალის ბანკნოტზე საქართველოს ეროვნული გმირის, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პორტრეტი გამოისახება. ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამზადების კომისიამ მიიღო.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა, 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის ერთ მხარეზე მოთავსებული იქნება დაპყრობილი სოხუმი, მეორე მხარეს კი საქართველოს ეროვნული გმირი, რომელიც დამპყრობლებს ებრძოდა, რაც საქართველოს დღევანდელობას ეხმიანება.

### დეპუტატები რუსეთის პოლიტიკით აღშფოთებული არიან

საპარლამენტო უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლის საკითხზე აქტიურ მსჯელობას მომავალი კვირიდან დაიწყებს.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხს დღის წესრიგში ფრაქციის სხდომაზე დააყენებენ, რომელიც 28 ნოემბერს გაიმართება.

პარლამენტარ ალეკო შალამბერიძის განცხადებით, დეპუტატები აღშფოთებულნი არიან რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებული პოლიტიკით და დსთ-ს დატოვებას მოითხოვენ.

მისივე თქმით, 28 ნოემბრისთვის დაგეგმილ უმრავლესობის სხდომას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც დაესწრება, რომელსაც ამ თემაზე განსხვავებული პოზიცია აქვს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრისას არაერთხელ აღნიშნა, არც დსთ-ში ყოფნა და არც თანამეგობრობის დატოვება საქართველოს არაფერს მოუტანს. ბურჯანაძის განცხადებით, დსთ-ს სამიტებს საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საკუთარ კოლეგებთან შესახვედრად იყენებენ.

შალამბერიძე არ გამორიცხავს, რომ პარლამენტმა დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხი პლენარულ სხდომაზეც გაიტანოს.

ინტერპრესნიუსი

◉ პანორამა

**არიელ შარონი** გადადგა და აპირებს ქნესეთის დაშლას და ახალი პარტიის შექმნას ახალ არჩევნებში მონაწილეობის მიზნით. როგორც მოელიან, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ამის შესახებ ოფიციალურად შეატყობინებს ქვეყნის პრეზიდენტს მოშე კაცავის. ისრაელის კანონმდებლობის თანახმად, ასეთ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, რომელიც 90 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს.

* * *

**ინდონეზიაში** „ფრინველის გრიპისგან“ გარდაიცვალა ერთი მამაკაცი. გასულ კვირას ამ ქვეყანაში „ფრინველის გრიპს“ კიდევ ორი ადამიანი ემსხვერპლა — 20 და 16 წლის ახალგაზრდა ქალები. ამრიგად, ინდონეზიაში „ფრინველის გრიპის“ შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 8 შეადგინა.

* * *

**შეერთებულ შტატებში** მუშაობას იწყებს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის მერი — 18 წლის ჭაბუკი. სეშიონსი აირჩიეს ქალაქ ჰილსდეილის მერად, რომელშიც სულ 8 ათასი კაცი ცხოვრობს. ეს მოხდა 8 ნოემბერს. მერს 18 წელი კი 22 სექტემბერს შეუსრულდა. წინასაარჩევნო კამპანია ამ ახალგაზრდამ საკუთარი სახსრებით დააფინანსა — გაიღო 700 დოლარი, რომელიც ზაფხულში თვითონ გამოიმუშავა.

## „რომ ჩამოვიდე, ოთხ ოჯახს ვინღა შეინახავს!“

**ნეტავ** მალე დალაგდეს საქართველოში ყველაფერი. შეიქმნას სამუშაო ადგილები... იცი, უკვე 10 წელიწადია აქა ვარ და ველარ ვძლებ. არავის ეგონოს, რომ აქაურობას მივეჩვიე. ისეთი ნოსტალგია მაქვს, ზოგჯერ ღამღამობით ვტირი ხოლმე.

იხ. მე-6 გვ.

## ხელისუფლება მარტო დარჩება,

ასე ვარაუდობენ მრეწველები

იხ. მე-4 გვ.

**ხალხს** თუ ჯერ კიდევ შერჩა არჩევნებზე მისვლის სურვილი, მივა. მწერველებმა კი, შეიძლება, ბოიკოტს მიმართონ, თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში და საარჩევნო კოდექსში ცვლილებები არ შევა (რაც ნაკლებად არის მოსალოდნელი).




### „რუსთავი-2“ — გარყვნილების ქადაგი?!

**„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის პროექტს „ჯეო-ბარს“ ანტიმართლმადიდებლურ პროექტს უწოდებს.**

გუშინ კავშირმა „რუსთავი 2“-ის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა.

ტელეკომპანიის წინ საპროტესტო აქციები სამი დღის განმავლობაში გაიმართება.

კავშირის აზრით, ეს ანტიმართლმადიდებლური პროექტი მიზანმიმართულად არის გაკეთებული, რათა გარყვნილება იქადაგოს ქართველ ახალგაზრდებში.

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მიმართვა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომის მონაწილეებს

იხ. მე-2 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## გაეროს გენერალური მდივანი თბილისს მცირე ხნით ეწვია

**გაეროს** გენერალური მდივანი კოფი ანანი შაბათს ორი საათით გაჩერდა თბილისში, როცა იგი ისლამაბადიდან ნიუ-იორკისკენ მიემგზავრებოდა. პაკისტანის დედაქალაქში კოფი ანანი მონაწილეობდა კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პრობლემებს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო კანცელარიაში ბოლო მომენტამდე არ იცოდნენ, გაიმართებოდა თუ არა გაეროს გენერალური მდივნის ბლიც-ვიზიტი საქართველოში. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარს დახვდნენ არა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იმავე დღის დილით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს ქალაქ სენაკში, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი.

იხ. მე-6 გვ.

## პატრულისგან ნაცემი მოქალაქე ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოხვდა

იხ. მე-4 გვ.

## ბიზნესმენზე ზემოქმედება გრძელდება

მიხეილ ქარელის დაცვის უფროსის ქვისლი მეწარმის შვილს თავს დაესხა

იხ. მე-4 გვ.

## ვარდების რევოლუციის ძმა



ერთი წლის წინათ უკრაინაში საბოლოოდ გაიმარჯვა დემოკრატიამ

იხ. მე-5 გვ.

◎ წინაპარი

# დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ...

## გუშინ მთაწმინდის მიწამ მიიბარა ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი



(პირველი გვერდიდან)

**20 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ზუსტად 14.40 საათზე სპეციალური რეისით ჩამოფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც პარიზიდან თბილისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი ჩამოასვენა.**

თვითმფრინავიდან ნეშტის გადმოსვენების ცერემონია 15.30 საათზე დაიწყო. ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ახლობლები, ჩოხოსანთა და თავადაზნაურთა საზოგადოების წარმომადგენლები.

თვითმფრინავიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი სარიტუალო ბატალიონის ჯარისკაცებმა გადმოასვენეს, რომლებმაც საეკლესიო ზარების რეკვის ფონზე ნეშტი სპეციალურ პოსტამენტზე დაასვენეს. საეკლესიო ზარების დასრულებისას სამხედრო ორკესტრმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი პატივის მისაგებად გამოცხადდა წუთიერი დუმილი, რის შემდეგაც საქართველოს საპატრიარქოს ანსამბლმა საგალობლები შეასრულა და სწორედ ამ საგალობლების ფონზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი კატაფალკაზე გადაასვენეს.

* * *

**გმირის ნეშტი თბილისის აეროპორტიდან კატაფალკით, ესკორტის თანხლებით სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს, შავი ზღვის ქუჩის კუთხიდან კი წმიდა სამების საკათედრო ტაძრამდე პროცესიას ჩოხებში გამოწყობილი ცხენოსნები და ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები ანთებული კელაპტრებით ხელში შეუერთდნენ.**

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი წმიდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში ზარების რეკვის ფონზე, საპატიო ყარაულის თანხლებით შეასვენეს და სპეციალურ პოსტამენტზე დაასვენეს. წმიდა სამების ტაძრის ეზოში ჭიშკრიდან ტაძრის შესასვლელამდე ორ მწკრივად, საქართველოს სახელმწიფო დროშებით ხელში სარიტუალო სამსახურის ჯარისკაცები იყვნენ განლაგებულნი. ვიდრე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს ტაძარში დაასვენებდნენ, ეზოში თეატრალიზებული წარმოდგენა გაიმართა.

ეროვნული გმირის ნეშტს 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვან დროშასთან ერთად, ახალი, ხუთჯვრიანი დროშაც გადააფარეს. ცერემონიას ოფიციალური სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათესავები და რიგითი მოქალაქეები ესწრებოდნენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.

* * *

**გუშინ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი ქართულ მიწას მიაბარეს. მისი დაკრძალვა საეკლესიო ზარების, საგალობლებისა, სახელმწიფო ჰიმნისა და ქვემეხების გასროლის ფონზე მიმდინარეობდა.**

დაკრძალვას დაესწრო საქართველოს მთავრობა სრული შემადგენლობით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის წევრები, ჩოლოყაშვილის შთამომავლები, ასევე საფრანგეთში მცხოვრები ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები. პანთეონში იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

დაკრძალვამდე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი მამა დავითის ეკლესიაში დაასვენეს, სადაც მცირე საეკლესიო პანაშვიდი გადაიხადეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს ქართულ მიწასთან ერთად ლევილიდან ჩამოტანილი მიწაც დააყარეს. იგი ამიერიდან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დავით ერისთავისა და ზაქარია ჭიჭინაძეს შორის განისვენებს.

ინტერპრესნიუსი

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსათხოვარი სიტყვა ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვის დღეს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში

**თქვენო უწმინდესობავ, პატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ, პატივცემულო ჩამოსულო სტუმრებო!**

მე მინდა, პატივი მივაგო ჩვენი ეროვნული გმირის ხსოვნას. ჩვენ, მე და ჩემმა მეგობრებმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე მუშაობა 1997 წლიდან დავიწყეთ. თუმცა მაშინ ქართული ემიგრაციის იმ ნაწილმა, რომელიც უვლიდა ლევილის მამულს და ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავს, ჩათვალა, რომ ამისთვის ჯერ დრო მომზადებული არ იყო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ანდერძი იყო ის, რომ იგი გადმოესვენებინათ თავისუფალ საქართველოში. მე მინდა ვთქვა, რომ დღეს საქართველო, იმის მიუხედავად, რომ იგი დაჭრილია, საქართველო მაინც თავისუფალია. საქართველო განთავისუფლდა არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ განთავისუფლდა თავისი ბრძოლით, თავისი სულისკვეთებით. საქართველომ ირწმუნა საკუთარი ძალების. ირწმუნა ის, რომ მას ყველაზე რთული ამოცანების გადაწყვეტა ძალუძს.

ჩვენ ყოველთვის გვყავდა გმირები. როდესაც საქართველოს სამეფო გაუქმდა და როდესაც ჩვენი არისტოკრატიის უმეტესმა ნაწილმა დიდი სიამოვნებით გაცვალა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა ჩინმედლებზე, ეპოლეტებსა და მაღალ ხელფასებზე, საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა — მარიამ დედოფალმა უარი თქვა საპატიო გადასახლებაში წასვლაზე. როდესაც დამხობილი ჯარის მოძალადე გენერალმა ძალადობის გამოყენებით შეურაცხმყოფელად სცადა მისი გამოყვანა, მან მოკლა კიდევ ერთი ციციანოვი. და ხელბორკილებდადებული მარიამ დედოფალი ფეხით წაიყვანეს ჩრდილოეთში და იქ სასწაულით ჩააღწია.

ორი საუკუნის განმავლობაში მისი სახელი დავიწყებული, ტაბუდადებული იყო იმიტომ, რომ არავის არ აძლევდა ხელს იმის დაფიქსირება, რომ საქართველოში იყო ხალხი, ვინც წინააღმდეგობას სწევდა. ლეგენდა იყო ისიც, რომ ჩვენ დიდი სიამოვნებით და ბედნიერებით შევედით იქ, რომელსაც ოქროს გალიად იხსენებენ, თუმცა ოქროსი ის არ იყო.

1832 წელს ქართული არისტოკრატიის საუკეთესო ნაწილი, ისინი, ვინც არ მიეკუთვნებოდნენ იმ უმეტესობას, რომელიც დანებდა და ჩაბარდა, აჯანყდა, მაგრამ მაშინ ეს აჯანყებაც დამარცხდა.

ასე რომ, ჩვენ ყოველთვის გვყავდა ხალხი, რომელიც საქართველოსთვის იბრძოდა.

შემდეგ 60-იან წლებში გამოჩნდა თერგდალეულთა თაობა და ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თქვა, რომ საქართველო არ მომკვდარა და ქართული ეროვნული სული ისევ აღორძინდება. მან ფეხით მოიარა მთელი საქართველო, ჩავიდა ყველა კუთხეში და თქვა, რომ ეს უბრალოდ მაზრებისა და გუბერნიების ერთიანობა კი არ არის, ეს არის ერთიანი ერი, მრავალი ეთნიკური წარმომავლობის, მრავალი კუთხური ელემენტით, მაგრამ ერთიანი ერი, რომელიც მზად არის, რომ როდესღაც ხელახლა ისევ გაერთიანდეს და ფენიქსივით აღორძინდეს.

მაგრამ ჩვენ თავს სხვა ქარტეხილი დაგვატყდა. მე მინდა ვთქვა, რომ იყო ორი მიმართულება. ერთი იყო სერგო ორჯონიკიძე, რომელიც შემოუძღვა საქართველოში დამპყრობლებს აშკარად უსირცხვილოდ. ამ ჯარის სათავეში ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე და სხვა ეთნიკური წარმომავლობის ქართველები იდგნენ. ხოლო მათ წინააღმდეგ თბილისსა და სხვა ადგილებში იბრძოდნენ ნამდვილი პატრიოტები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები, ყველა, ვისთვისაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მაშინ ორჯონიკიძის გზამ იმძლავრა დროებით, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მძიმე შედეგებით.

ყოველთვის იყო წინააღმდეგობის გაწევის მცდელობები. კათალიკოსმა ამბროსმა — ჩვენმა ეროვნულმა წმინდანმა, რომელმაც მისწერა წერილი გენუის კონფერენციას, მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. რა თქმა უნდა, ამბროსი ხელაიამ მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა ამ წერილის მიწერა. ეს ნიშნავდა, ასევე მისთვის საკუთარი სიცოცხლის სასიკვდილო განაჩენის გამოტანასა და ხელმოწერას. მაგრამ ამ ნაბიჯზე იგი შეგნებულად წავიდა. როდესაც ბოლშევიკებმა იგი დააპატიმრეს და აწამეს, და როდესაც, რა თქმა უნდა, მას გარდაუვალი სიკვდილი ელოდა, მან ამაყად თავაწეულმა მიუგო: ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული — ჩემს სამშობლოს, საქართველოს, ხოლო ჩემი სხეული თქვენთვის მომიცია ჯალათებო და რაც გინდათ, ის უყავით მას.

მე ვფიქრობ, სწორედ ეს არის ჩვენი ეროვნული აღორძინების და ჩვენი მომავლის დაცულობის მთავარი არსი, რომ საქართველოში ყოველთვის იყვნენ ორჯონიკიძეები, მაგრამ საქართველოში ყველა ორჯონიკიძეზე და სულაც ათ ორჯონიკიძეზე ყოველთვის მოდიოდა ერთი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ერთი ექვთიმე თაყაიშვილი, ერთი ამბროსი ხელაია, ერთი მარიამ დედოფალი და ისინი ყოველთვის უფრო ძლიერები იყვნენ, ვიდრე ორჯონიკიძეები.

ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, წინ დიდი ბრძოლა გველის და მე მიხარია, რომ დღეს აქ წარმოდგენილი არიან ჩვენი ჯარისკაცები, ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. მინდა ვთქვა, რომ მათი დიდი იმედი გვაქვს და ქედს ვიხრით მათი გამბედაობის წინაშე.

თავისი სიტყვის დასასრულს ქვეყნის პირველმა პირმა თქვა, რომ საქართველოში დღესაც არიან ორჯონიკიძეები, მაგრამ ისინი ველარ გაიმარჯვებენ, რადგან ქაქუცას დროს საქართველო სახელმწიფო არ იყო. დღეს საქართველო არ არის ერთიანი, მაგრამ ის სახელმწიფოა და აუცილებლად გაერთიანდება.

— ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ, ჩვენ ვერავინ ვერასოდეს ველარ დაგვამარცხებს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

— მე დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილს თქვენი სახელით, საქართველოს სახელით მხედრული სალამი მივაგე, რადგან იგი იყო ყველაზე ერთგული, გაბედული ჯარისკაცი, რომელიც თავის თანამებრძოლებთან ერთად შეეწირა სამშობლოს სიყვარულს, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

## ქართველ ერს თავისუფლების სული შეუნარჩუნა

**ქაქუცა ჩოლოყაშვილი უდიდესი ისტორიული გვარის წარმომადგენელი იყო. ჩოლოყაშვილები საქართველოს ღირსებას ხმლით და კალმით საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ.**

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სამოქალაქო პანაშვიდზე განაცხადა.

მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის ხსენებაც კი სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული, ქართველ ხალხს ამ დიდი მამულიშვილისადმი პატივისცემის გრძნობა არ დაუკარგავს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ქაქუცა ჩოლოყაშვილი რუსეთის იმპერიას აუჯანყდა, რითაც ქართველ ერს თავისუფლების სული შეუნარჩუნა. ბურჯანაძის თქმით, მან ქართველ ერს ამ დრომდე მოატანინა ქართული სული და სიძლიერე.

— სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელით დაიწყო საქართველოში ეროვნული მოძრაობა. ქაქუცას დროშით დაიწყო საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ არაერთი ღირსეული ქართველი დაეცა აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიწაზე, — განაცხადა ბურჯანაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, იგი დარწმუნებულია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილისნაირი ვაჟკაცები საქართველოში კიდევ არიან და მომავალშიც იქნებიან. „დარწმუნებული ვარ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დროშა უახლოეს ხანში ერთიანი საქართველოს თავზე ღირსეულად აფრიალდება“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.





◎ პოზიცია

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მიმართვა

## დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომის მონაწილეებს

**პატივცემულო კოლეგებო!**

მსურს, საქართველოს პარლამენტის სახელით თქვენი ყურადღება მივაპყრო და ღრმა აღშფოთება გამოვხატო უპრეცედენტო და ცინიკური ფაქტის გამო, რომელიც დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის ჩაშლის მიზეზი გახდა. როგორც ჩანს, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩომ, არსებული დირექტივებიდან გამომდინარე და ე. წ. შავი სიის საფუძველზე, განუცხადა ვიზის გაცემაზე უარი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ გივი თარგამაძეს, რომელიც დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მორიგ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის თანმხლები ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა.

ზემოაღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ახდენს საქართველოსადმი რუსეთის ფედერაციის რეალური დამოკიდებულების ილუსტრირებას და ხაზს უსვამს იმას, რომ რუსეთის ხელისუფლების გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს არ სურთ ჩვენს ქვეყანასთან კონსტრუქციული თანამშრომლობა.

რუსეთის მხარე საქართველოს გამუდმებით ადანაშაულებდა იმაში, რომ ჩვენ დსთ-ის ფარგლებში არსებულ მექანიზმებს არსაკმარისად აქტიურად ვიყენებთ. ჩვენს დელეგაციას განზრახული ჰქონდა, დსთ-ის მაღალი ტრიბუნიდან საჯაროდ წარედგინა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა შესთავაზა საერთაშორისო თანამეგობრობას. გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებდით, შევხვედროდით დსთ-ის წევრ სახელმწიფოთა სპიკერებს, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ხელისუფლების ორივე პალატის თავმჯდომარეებს. საქართველომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ის პოზიტივი, რომელიც მიღწეული იქნა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ასეთივე პოზიტივის მიღწევა საქართველოს



ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. თუმცა ჩვენ არ ვმალავდით, რომ განზრახული გვქონდა, ის ნეგატიური პროცესებიც გაგვემუქებინა, რომლებიც ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის მხარის აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

იმავდროულად საქართველოს დელეგაცია აპირებდა განემარტა ჭეშმარიტი არსი „ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რომელმაც რუსი პოლიტიკოსების ამდენი დაუსაბუთებელი საყვედური გამოიწვია. დადგენილების თანახმად, საქართველოს პარლამენტი სამშვიდობო ძალებს საკმარის დროს აძლევს იმისათვის, რომ უსწრაფესად იქნეს მიღწეული პროგრესი კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და აფხაზეთში (საქართველო). საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის პროცედურა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ეს პროგრესი დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში ვერ იქნება მიღწეული.

ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის შესაბამისი უწყებების მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ და სრულმა უგულებელყოფამ კიდევ ერთხელ შეუშალა ხელი საქართველოს პარლამენტის წევრებს, რომ დსთ-ის ფარგლებში გამოეხატათ საკუთარი ქვეყნის პოზიცია. იქმნება შეთაბეჭდილება, რომ რუსეთში გარკვეული წრეები არ არიან დაინტერესებული ჩვენს სახელმწიფოებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის დამყარებით და მათი ქმედებები საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის ჩაშლას ისახავდა მიზნად.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს ნაბიჯი პოლიტიკურად მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დსთ-ის, როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ. დსთ-ის შექმნის დღიდანვე რუსეთის ხელისუფლება ამ ორგანიზაციას განიხილავს, როგორც რუსეთის დანამატს, როგორც საკუთარი ერთპიროვნული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმს, და არ აღიარებს მას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა ინტერესების გამომხატველ საერთაშორისო ინსტიტუტს, რაც ამ ორგანიზაციის საქმიანობაში უხეში ჩარევით, დსთ-ის ეგიდით გამართულ სამიტებზე თავად რუსეთის მიერ ხელმოწერილი სამართლებრივი დოკუმენტებისა და შეთანხმებების იგნორირებითა და დარღვევით გამოიხატება.

ჩვენ დსთ-ში შესვლისას იმედი გვქონდა, რომ ეს ორგანიზაცია თუნდაც უმცირეს პოზიტიურ როლს შეასრულებდა ეგრეთ წოდებული გაყინული კონფლიქტების მშვიდობიან და სამართლიან მოწესრიგებაში, რომ დსთ-ის მშვიდობისმყოფელები დევნილთა უსაფრთხოებისა და მშობლიურ კერაზე მათი დაბრუნების გარანტები იქნებოდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ათ წელზე მეტი ხანია, რაც საქართველო დსთ-ის წევრია და სამშვიდობო ძალები კონფლიქტების ზონებში იმყოფებიან, იქ ხალხი კვლავ იხოცება, სამშვიდობოები კი, უკეთეს შემთხვევაში, უმოქმედოდ არიან. დსთ-ის არსებობის მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს ორგანიზაცია ადეკვატურად არ რეაგირებდა დსთ-ის წევრთა მიერ ორმაგი სტანდარტების გამოყენების ფაქტებზე, რითაც თავის სრულ ქმედუუნარობას ავლენდა.

მივმართავ ყველა ჩვენს კოლეგას და მინდა მოვუწოდო დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეას, არ გამოიჩინონ გულგრილობა, მიუკერძოებლად შეაფასონ რუსეთის ფედერაციის მოქმედებები და დაგმონ მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა.

მსურს კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ საქართველო მზად არის, ითანამშრომლოს ნებისმიერ სახელმწიფოსთან, მათ შორის, რუსეთთან, კეთილმეზობლური ურთიერთობების, ერთმანეთის სუვერენული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების პატივისცემის საწყისებზე.

პატივისცემით,
**ნინო ბურჯანაძე**

◎ ინფორმაცია

### სასამართლომ ასლან აბაშიძის ადვოკატთა სარჩელი არ მიიღო

**საქართველოს** საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ განსახილველად არ მიიღო ასლან აბაშიძის ადვოკატების სარჩელი, რომლითაც ისინი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის წესს ასაჩივრებდნენ.

სასამართლომ სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადა. როგორც კოლეგიამ განმარტა, ვინაიდან აბაშიძეების სარჩელში დაფიქსირებულ ყველა სადავო საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს ერთხელ უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება, კანონით, ერთსა და იმავე საკითხზე სასამართლო ორჯერ არ მსჯელობს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### რკინიგზის ახალი ხელმძღვანელობა გეგმავს

**შპს „საქართველოს რკინიგზის“** ახალმა ხელმძღვანელობამ ორგანიზაციის განვითარების სამომავლო ხუთწლიანი სამუშაო პროექტი განსახილველად რკინიგზის სამსახურებს წარუდგინა.

როგორც ინტერპრესნიუსს „საქართველოს რკინიგზის“ პრესსამსახურში აცნობეს, გეგმა ტვირთბრუნვისგან შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდასა და სამგზავრო გადაყვანებიდან შემოსული თანხების მატებას ითვალისწინებს.

გეგმის თანახმად, 2006 წელს ორგანიზაციაში 5 უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო პროექტი განხორციელდება, რომელიც გაზრდის საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობას და ნაცვლად 18 მილიონი ტონისა, რკინიგზა 21 მილიონ ტონამდე ტვირთის გატარებას შეძლებს.

პროექტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ პუნქტს რკინიგზაში არსებული საკადრო რესურსების მიზნობრივი მართვა და ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

### მათ უკანონო გარიგებაში ადანაშაულებენ

**უზენაესი** სასამართლოს სამი მოსამართლე იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებს კოტე კუბლაშვილსა და ვალერი ცერცვაძეს უკანონო გარიგებებში ადანაშაულებენ.

როგორც ინტერპრესნიუსს არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ოფისში განუცხადეს, მერაბ ტურავას, ნინო გვენეტაძისა და დავით სულაქველიძის წინააღმდეგ დისციპლინარული დევნა მაშინ აღიძრა, როცა მოსამართლეებმა ღიად გააკეთეს განცხადება მათზე ზეწოლის შესახებ.

— ამის გამო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო საბჭომ მათი დისციპლინარული დევნის საკითხი აღძრა, ზეგ კი მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება, — განმარტავენ ორგანიზაციაში.

მოსამართლეები და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ოფისში ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ და მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო ქმედებებსა და გარიგებებზე ისაუბრებენ.

ინტერპრესნიუსი

⊙ რუბრიკა

# ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელი ფოტოსურათი

**გაზეთ „სამშობლოს“ 1995 წლის მაისის №1-ში დაიბეჭდა მთავარი რედაქტორის პაატა ნაცვლიშვილის წერილი „ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელი ფოტოსურათი“, რომელშიც ეროვნული გმირის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, გარდაცვალება და დაკრძალვა იყო აღწერილი. წერილს ახლდა უნიკალური ფოტოსურათები.**

**ბატონ პაატა ნაცვლიშვილის თავაზიანი თანხმობით, უცვლელად ვბეჭდავთ მის 10 წლის წინანდელ წერილს. ვფიქრობთ, მას ისეთივე ცხოველი ინტერესით მიიღებს მკითხველი.**

1994 წლის ოქტომბერში, თბილისში ჩატარდა ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმი, რომელშიც საზღვარგარეთ მცხოვრები მრავალი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა. მათ შორის ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ ბავშვთა ექიმი რეზო ნიკოლაძე — ნიკოლაძეთა სახელოვანი კლანის წარმომადგენელი, ნიკო ნიკოლაძის ძმის შვილიშვილი. მან თავისი დასწრებით და მოკლე, მაგრამ



უაღრესად ემოციური გამოსვლით გაამშვენიერა და გენეტიკური სითბოთი დამუხტა მისი დიდი წინაპრის ნიკო ნიკოლაძის 150 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო, რომელიც სწორედ ფორუმის დღეებში გაიმართა თბილისის ოპერის თეატრში. რეზო ნიკოლაძემ ფორუმის დახურვაზეც წარმოთქვა შთამბეჭდავი სიტყვა, ამჯერად — საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა დელეგაციის სახელით. მასთან ერთად ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგერსის პირველი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა მისი დაი, უსათნოესი ქალბატონი ნათელა ნიკოლაძე.

ნიკოლაძეთა დიდი ოჯახის ისტორიაზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, რა თქმა უნდა, ვიცოდი ამ გვარის პარიზული შტოს შესახებ. ვიცოდი, რომ ნიკო ნიკოლაძის შვილმა გიორგიმ და მისი ძმის, რკინიგზელისა და პოეტის კონსტანტინეს შვილმა შოთამ პარიზში იქორწინეს დებზე — ჟორჟეტა და მედეა ლამბაშიძეებზე. კარგად ვიცოდი ლამბაშიძეთა ოჯახის ისტორიაც: ჟორჟეტა და მედეა ლამბაშიძეების ბაბუა — დეკანოზი დავით ლამბაშიძე გაბრიელ ეპისკოპოსის მარჯვენა ხელი და ცნობილი ყოველთვიური ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქტორ-გამომცემელი იყო. მას ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ყაზბეგის ახლო ნათესავი ოლღა ყაზბეგის ასული. მათი შვილი ვახტანგი მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ პარიზს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. იქ მან ცოლად შეირთო ინგლისელი ქალი, რომლისგანაც შეეძინა ქალიშვილები — ჟორჟეტა და მედეა, მომავალი ნიკოლაძეთა დიდი ოჯახის რძლები. ვახტანგ ლამბაშიძე სახელგანთქმული მკურნალი იყო. ჯერ კიდევ 1904 წელს მან მამამისთან ერთად დააარსა ცნობილი სანატორიუმი პატარა ცემში, სადაც შერყეული ჯანმრთელობა აღიდგინა ბევრმა ცნობილმა მოღვაწემ: აკაკი წერეთელმა, დიმიტრი არაყიშვილმა, იაკობ ნიკოლაძემ, პავლე ინგოროყვამ, ვუკოლ ბერიძემ, არჩილ ხარაძემ, ალექსანდრე აბაშელმა და სხვებმა. მოგვიანებით, უკვე საფრანგეთში გადასახლებულ ვახტანგ ლამბაშიძეს საკუთარი კლინიკა ჰქონდა პარიზში. გარდა სამედიცინო პრაქტიკისა, საფრანგეთის დედაქალაქში იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. რად ღირს თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ იგი სამჯერ იყო არჩეული საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარედ. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწერლებთან, მეცნიერებსა თუ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, ის იყო მათი ჭირისა და ლხინის მოზიარეც, მეგობარიც, მკურნალიც და... მემატიანეც. დიახ, ვახტანგ ლამბაშიძე ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან გატაცებული იყო ახალი საქმით — ფოტოგრაფიით და მისი წყალობით ფოტოფირფიტაზე ასახული არაერთი მნიშვნელოვანი პიროვნება და მოვლენა შემორჩა საქართველოსა თუ ქართული ემიგრაციის ისტორიას. ქართულ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, ახსოვს აკაკი წერეთლის დაკრძალვის მის მიერ გადაღებული კადრები, რომელთა ნეგატივები რეზო და ნათელა ნიკოლაძეებმა რეზო თაბუკაშვილს გადასცეს და რომელთა საფუძველზეც მან ბრწყინვალე კინონოველა შექმნა.

რეზო თაბუკაშვილისგანაც ბევრი მსმენოდა პარიზელი და-ძმა ნიკოლაძეების შესახებ, მაგრამ პირადად ისინი მხოლოდ იმ ფორუმის დღეებში გავიცანი. ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში და ორ დღეში ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ ბატონმა რეზო ნიკოლაძემ გადაწყვიტა, ჩემთვის დაეტოვებინა ის ექვსი უძვირფასესი ნეგატივი და ორი უნიკალური დოკუმენტი, რომლებიც და-ძმამ საგანგებოდ ჩამოიტანა პარიზიდან და, ბატონო რეზოსავე სიტყვებით, რომ არა ჩვენი შეხვედრა, უკან წაღებას აპირებდნენ საფრანგეთში.

* * *

**რამდენიმე** ფრაგმენტი ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებათა წიგნიდან (სან-ფრანცისკო, 1981):

„ქაქუცა ახლა მეორედ გავგზავნეთ სანატორიუმში, სადაც ის კარგა ხანს დარჩა. რამდენიმე თვის შემდეგ დეპეშა მომივიდა, რომ მე ჩავსულიყავ მასთან... დავანებე თავი ყველაფერს, ვისესხე ფული და წავედი ოტსაუაში... მე ოცდახუთი დღე დავრჩი ქაქუცასთან...

სხვათა შორის, მან არაერთი წერილი მიმაწერინა ამ ხნის განმავლობაში, რადგან ხელს ველარ ხმარობდა. მე მინდოდა, რომ ის უკეთეს ადგილას გადამეყვანა, დაოსში, მაგრამ ექიმებმა ამიკრძალეს, მისი დაძვრა არ შეიძლება, სანამდე ცოტა არ მოკეთდებაო. მერე თვითონ ქაქუცამაც მოინდომა: „სახლში წამიყვანე“-ო, მაგრამ როგორ შევუსრულებდი სურვილს, როდესაც მისი მგზავრობა არ შეიძლებოდა. იმისათვის, რომ მოლონიერებულიყო, ვცდილობდი, უკეთესად მეკვება, მაგრამ ის არაფერს ჭამდა; სვამდა მხოლოდ ფორთოხლის წვენს, ეს კი კუჭისთვის დიდ არაფერ საზრდოს არ წარმოადგენს. მე ძალიან ვწუხდი, ხოლო ყველაზე მეტად იმის გამო, რომ ვერც ვეუბნებოდი, ჯერჯერობით შენი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება-თქო. ქაქუცამ იმიტომ მოიწადინა სახლში წასვლა, რომ არ უნდოდა უცხო ვინმეს მოევლო მისთვის. მერე მან მოინატრა ვახტანგ ლამბაშიძის ნახვა, რომელიც უყვარდა და დიდ პატივსაც სცემდა მას. ვახტანგიც ასეთივე გრძნობით იყო განმსჭვალული ქაქუცასადმი, მაშინვე დავურეკე მას. მან დაუფიქრებლად მიპასუხა: „დღეს საღამოსვე დავჯდები მატარებელზე და გამოვემგზავრები“-ო.

ლამბაშიძის ჩამოსვლამ ძალიან გაახარა ქაქუცა. ჩვენ ორმა მაშინვე მოვილაპარაკეთ, რომ იგი სახლში წაგვეყვანა. ვახტანგი იმ წამს დატრიალდა ექიმებში, რომ გაეგო, შეიძლებოდა, თუ არა, მისი დაძვრა აგილიდან. ექიმებმა იგივე გაიმეორეს: „იმისი დაძვრა არ შეიძლება, თუკი ცოტა არ მოლონიერდა“-ო. მაგრამ როგორ მოლონიერდებოდა, როცა იგი არაფერს ჭამდა! თუმცა, ჭამა რაღას უშველიდა, როდესაც მაშინ უკვე დათვლილი ყოფილა მისი დღეები...

მოსახდენი მოხდა ათას ცხრაას ოცდაათი წლის ივნისის თვეში. კიდევ კარგი, რომ აუსრულდა უკანასკნელი ნატვრა და ვახტანგმა ცოცხალს ჩამოუსწრო მას, რადგან სულ ორი დღე გავიდა მისი ჩამოსვლიდან და ქაქუცა გარდაიცვალა. იქნებოდა დაახლოებით თერთმეტი საათი, რომ მე და ვახტანგი იმის პალატაში შევედით. მან რაღაც დაილაპარაკა. ჩვენ მაშინვე მივცვივდით და მე ხელით წამოვუწიე თავი ქაქუცას. მან კიდევ დაიხრიალა. აი, ეს იყო უკანასკნელი დახმაურება ამ დიდი მებრძოლისა, რომელიც ვეფხვივით ებრძოდა თვით სიკვდილსაც კი!

მე და ვახტანგი კარგა ხანს შევტიროდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინვე პარიზში შევატყობინეთ ეს სამწუხარო ამბავი. უმალ დაიწყო უანგარიშო ტელეფონების რეკვა. მეკითხებოდნენ, დამავალა თუ არა, რამე. მე ყველას ვპასუხობდი: „მართალია, დამავალა, რომ დამწვითო, მაგრამ მე არაგზით არ გავუშვებ, რომ დავწვათ“-მეთქი. მე ვიცი, რისთვის თქვა დაწვა: მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ადვილად ჩამიტანენო სამშობლოში. გრიშა ბერიძის ძმის დაწვას დაესწრო ქაქუცა და, როცა შინ მოვიდა, მითხრა: „საშინელებაა, რომ ქრისტიანი ადამიანი დაიწვას“-ო. აი, ამ მოსაზრებით გადავეცი პარიზში, რომ სასაფლაოს თადარიგი გაეწიათ.

დიდად დამეხმარა განსვენებული ვახტანგი. ყველაფერი მოვაწესრიგეთ; ქაქუცა ჩვენს თვალწინ ჩავასვენეთ თუთიის კუბოში და ოტსაუდან პარიზში გადავასვენეთ. უაღრესად დამწუხრებული დაგვხვდა ქართველების უმეტესი ნაწილი საფრანგეთის დედაქალაქში. ყველას უნდოდა გაეგო, როგორ გარდაიცვალა იგი, ან რა სთქვა მან საბოლოო სიტყვად...

ქაქუცა ბერძნების ეკლესიაში დავასვენეთ; სამი დღის შემდეგ იყო დანიშნული დაკრძალვა. მანამდე მიცვალებულს ჩამოვასვენებდით, პარიზში ხუთი კაცისგან უკვე შემდგარიყო დამკრძალავი კომიტეტი აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. შეფიცულების მხრივ მასში მერაბ ჯორჯაძე შედიოდა. დანარჩენების გვარები არ მახსოვს. მე მოვიწადინე იმ ადგილას ნახვა, სადაც ქაქუცას დაკრძალვა იყო გადაწყვეტილი. წავედით მე, მერაბი და ილიკო ქარუმიძე. სანტოენის სასაფლაოზე რომ მივედით, სწორედ მაშინ იღებდნენ ძვლებს იქიდან, სადაც ქაქუცას საფლავს ამზადებდნენ. მათ მიჩვენეს ალაგი და მითხრეს: „აი, ეს არის ქაქუცას საფლავი“-ო. მე რომ ვკითხე: „მერე აკლდამას როდისღა გააკეთებენ“-თქო, მაშინღა მიამბო მერაბმა: „აი, ამ სახით უნდა გაახვიონ კუბო კარავში და ზედ გუდრონს დაასხამენ. ასე გადაწყვიტა კომიტეტმა“-ო. ეს რომ მითხრა მერაბმა, კინაღამ გადავირიე და ლამის არის იქვე დავახრჩვე იგი: „ასე ასაფლავებთ ქაქუცა ჩოლოყაშვილს!“-მეთქი. მე დაუყოვნებლივ შევუდექი მოლაპარაკებას სასაფლაოს დირექციასთან, რომ აკლდამა გაეკეთებინათ. კარგა აღარ მახსოვს, მგონი, ორიათას ხუთასი დაჯდა, ხოლო მე კი ორმოცდახუთი ფრანკის მეტი არა მქონდა ჯიბეში.

სასაფლაოდან რომ დავბრუნდით მე, მერაბ ჯორჯაძე და ილიკო ქარუმიძე, პირდაპირ აკაკი ჩხენკელთან მივედი საშინლად აღელვებული. ასე მივმართე მე მას: „ბატონო აკაკი, ასე ასაფლავებთ ქაქუცას? გუდრონი გინდათ დაასხათ ცხედარს, თითქოს შარაგზას აგებენო! ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ გმირად აღიარა ქაქუცა. საინტერესოა, სხვანიც ასე ასაფლავებენ თავიანთ ეროვნულ გმირებს, როგორც თქვენ?“-მეთქი. ეტყობა ჩხენკელიც შეაწუხა ამ გარემოებამ, რომ მიპასუხა: „როგორც გინდათ, ბატონო ალექსანდრე, ისე დავასაფლავოთ“-ო. ამაზე მე ვუპასუხე: „აი, ბატონო აკაკი, დღეს მე აკლდამა შევუკვეთე; მისამართი თქვენი მივეცი და ფული, როგორც გინდათ, ისე გადაიხადეთ“-მეთქი.

ეს ლაპარაკი მხოლოდ ლაპარაკად დარჩა, რადგან მთავრობას კაპიკიც არ გადაუხდია. მაინც გრიშა ბერიძეს გადაახდევინეს იმის საფასური. მართლაც უმადურობა იქნებოდა, რომ არ აღნიშნულიყო ქველმოქმედი ადამიანის, თუნდაც გულითადი მეგობრის ამაგი: თავიდანვე გრიშამ იკისრა დაკრძალვის მთელი ხარჯები, ვინაიდან მისი სურვილი იყო, რომ ღირსეულად დაეკრძალა თავის მეგობარი...“

* * *

**ქაქუცა ჩოლოყაშვილი** გარდაიცვალა 1930 წლის 29 ივნისს პატარა საკურორტო ქალაქ ოტსაუაში, შვეიცარიის საზღვართან. დაკრძალეს იგი პარიზის ახლოს, სენტ-უანის სასაფლაოზე. იმდროინდელი ქართული ემიგრანტული პრესიდან ცნობილია, რომ მისი დასაფლავება კინოფირზე აუსახავთ და წლისთავზე უჩვენებიათ პარიზში. სამწუხაროდ, ეს ფირი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. რაც შეეხება ფოტოებს, იმდროინდელ ემიგრანტულ პრესაში დაიბეჭდა ქაქუცას დაკრძალვის ამსახველი რამდენიმე ფოტოკადრი, მაგრამ ჩვენთვის დღემდე უცნობი იყო არსებობაც კი იმ უნიკალური ნეგატივებისა, რომლებიც ბატონმა რეზო ნიკოლაძემ გადმომცა 1994 წლის 16 ოქტომბერს, როცა, ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრებით გადატვირთულმა, სპეციალურად გამონახა დრო და შინ მეწვია, ქალბატონ ნათელა ნიკოლაძესთან ერთად.

ეს არის ვახტანგ ლამბაშიძის მიერ სტერეოფოტოაპარტით (!) გადაღებული ექვსი მინის ფირფიტა, თორმეტი კადრი, რომლებიც დღემდე არ დაბეჭდილა. მათგან უმთავრესია ქაქუცა ჩოლოყაშვლის უკანასკნელი პორტრეტი, გადაღებული ოტსაუაში 1930 წლის 29 ივნისს, გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ. დანარჩენ კადრებზე ქაქუცას დაკრძალვაა აღბეჭდილი. მათ შორის ყველაზე საინტერესოა ის კადრი, რომელზეც ასახულია პარიზის ცენტრში მიმავალი პროცესია და რომლითაც ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული გმირის დაკრძალვა არცთუ შეუმჩნეველი მოვლენა ყოფილა საფრანგეთის დედაქალაქისთვის.

ფოტოები, რომლებიც 65 წლის წინათ არის გადაღებული და დღეს პირველად ქვეყნდება, ვახტანგ ლამბაშიძის მინის ნეგატივებიდან ჩვენი თხოვნით დაბეჭდა ცნობილმა ქართველმა ფოტოგრაფმა გურამ წიბახაშვილმა.

ვსარგებლობ შემთხვევით, და ჩვენი რედაქციის, გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველების და მთელი ქართული საზოგადოების სახელით გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ბატონ რეზოს და ქალბატონ ნათელას ამ უნიკალური ნეგატივების საქართველოში ჩამოტანისთვის. მათი დამსახურებაა, რომ არ დაიკარგა ქართული ემიგრაციის ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი.

**პაატა ნაცვლიშვილი.**

**სურათებზე: ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელი ფოტოსურათი (პირველ გვერდზე); ზემოდან ქვემოთ — ჩამოსვენება პარიზში; კატაფალკი ტრიუმფალურ თაღთან; სამგლოვიარო პროცესია; ბერძნულ ეკლესიასთან; სენტ-უანის სასაფლაოზე.**












⊙ გაეც წყალობა!..

## ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბრუნება

ეს რა ხმა მესმა,
ეს რა ხმა მესმა?! —
მეფე თამარი თეთრ ჩოხას კერავს
და ისე ვუცქერ მე წარსულს შენსას,
ვითარცა გველი საკუთარ ჰერანგს.

მიწის წილხვედრი მიეცეს მიწას,
გამგებელია ღმერთი კი ყოვლის,
ბრძოლით დაღლილი ვაჟკაცი მიწვა,
ცრემლივით წვეთავს ხმა იადონის.

ერთად აღსრულდა მითიც, ზღაპარიც,
ჩაუხერგიათ გზები გრანიტებს,
მამა-დავითის ვიწრო საფლავი
შენს დიდ სიყვარულს ვეღარ დაიტევს.

ვეღარ დაიტევს შენს გულს გამეგილს
აღმაფრენით და ვნების ბარაქით
გადასერილით შურით ამდენით
ეს გორგასალის ძველი ქალაქი.

და ჟამი, ჟამი ბრმაც, ყრუც და კოჭლიც
გვიხმობს, გვემახის მომავლისაკენ,
აჰა, ფინალიც, გეყოფათ, მორჩით!..
არარაობის ჩვენ ვკენკავთ საკენს.

არარაობის კვლავ ცელავს ცელი,
დაგვცქერს მთაწმინდა მარეხის ეშხით,
კარგა ხანია, მდუღარე ცრემლით
სავსეა ჩემი მთრთოლვარე ჰეშვი.

სუყველაფერი ბედია, ბედი,
მოდგა ერეკლეს ლანდი მწუხარე,
დაღდასმულია ეს ჩემი მკერდიც,
საწუთროს ქედი მეც მოვუხარე.

იმ თორმეტს შორის შენ ხარ მეათე,
აქ, სადღაც ახლოს, ცრემლის წყაროა,
მეტი სინათლე,
მეტი სინათლე... —
უკანასკნელი გაეც წყალობა.

გაეც წყალობა, ვით საგანძური,
ვიდრე საწუთრო წყვდიადს დაგაფენს,
ერთი კურცხალიც ბოლონაჟური,
არაფრისმქონე ველი არაფერს.

მეტი სინათლე,
მეტი სინათლე!.. —
ოღონდ წამს ბნელი არ დამადევნო,
ღმერთო, მე შენი ბევრი რამ მმართებს,
თუ რამეს ვჩემობ, მე შენით ვჩემობ.

აღარ არსებობს აუღებელი
ციხე-სიმაგრე და არც ქალაქი,
მამა-დავითი დგას მთლად ბებერი
ჩამოლეწილი გუმბათ-ქარაფით.

წარსულის ბილიკს ნეტავ ვინ მოსდევს,
ან ასე რატომ დაიგვიანეს?!
კორტნის არწივი ღია ჭრილობებს
და ახალ-ახალს მამჩნევს იარებს.

მორჩა, შინ უკვე აღარ არიან,
ვინ ჩამიცურა მკერდში ყინული?!.
სიცოცხლე რაა?! — ერთი წამია
და ამ წამში ხარ შენ ჩაკირული.

ისევ იღვრება ცრემლების თქეში,
ჭყავაილობს სული ისე, ვით ნუში,
ხარ ყველა ფერი და ყველა ფერში,
უპირველესად — მამულის გულში.

ანგელოზების გალობა ისმა და
ვარსკვლავები ხელებს გიწვდიდნენ,
შენ ჩაეწინდე მკერდს მთაწმინდისას,
როგორც ქართული დროშის სიწმინდე.

**ჯანო ჯანელიძე**
**21.11.05 წ. თბილისი**

⊙ ნათელ-მირონი

## ქაქუცა ბასიშვილი — ნათლული ქაქუცა ჩოლოყაშვილისა

**ქაქუცა...**

**ქაიხოსროს კნინობით-საალერსო ფორმა. ამ სახელს ხშირად როდი არქმევენ ქართლში მშობლები შვილებს.**

სამაჩაბლოში, სოფელ ქურთაში კი ცხოვრობდა ჩემი მეუღლის ბიძა, ქაქუცა ბასიშვილი — ნათლული და სეხნია ქაქუცა ჩოლოყაშვილისა.

ქაქუცას მამა, ანტონი, სოფლის მღვდელი იყო. დედამისმა კი, პირველმა დააარსა დიდი ლიახვის ხეობაში ქართული დაწყებითი სკოლა. ანტონის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი საქართველოს საზოგადო მოღვაწენი, ცნობილი პიროვნებები. მღვდლის ოჯახის კარი პატრიოტული სულისკვეთების ადამიანებისთვის მუდამ ღია იყო.

1920 წელს მათ ოჯახში რამდენიმე დღე და ღამე გაუთენებია ქაქუცა ჩოლოყაშვილს, თავის შეფიცულებთან ერთად. ვინ იცის, რაზე თათბირობდნენ მაშინ მღვდლის ოჯახში — დიდი ლიახვის ხეობა ხომ იმთავითვე ბოლშევიკთა სტრატეგიულ, სამიზნე ტერიტორიას წარმოადგენდა. იქნებ ამბოხების გეგმასაც აწყობდნენ!

მისი სტუმრობის დროს ანტონს და მის მეუღლეს სულ რამდენიმე დღის შეძენილი ჰყავდათ ძე. ახალშობილი მშობლებმა ჩოლოყაშვილს მოანათვლინეს და სახელიც მისი უწოდეს. ნათლობა თვითონ ანტონმა ჩაატარა.

ქაქუცა ბასიშვილი იყო ახოვანი, პირდაპირი, მართალი ადამიანი. პროფესიით მშენებელი ინჟინერი. ძალზე კოლორიტული და პატივსაცემი პიროვნება. კარგად იცოდა ძველი ამბები, თავისი კუთხის ისტორია. შთამბეჭდავი იყო მისი საუბრები სამაჩაბლოს ახალგაზრდობასთან.

ქაქუცას მუდამ ესახელებოდა, რომ ჩოლოყაშვილის ნათლული იყო. მახსოვს, როგორ ელოლიავებოდნენ ის და მისი მეუღლე, ქალბატონი ნადია წინაპართა საფლავებს, როგორ შედიოდნენ და ერთად ლოცულობდნენ ქურთის წმიდა სამების ეკლესიაში.

ძია ქაქუცამ კარგად იცოდა ძველი სიმღერები, სარიტუალო საგალობლები. ვისაც მოუსმენია, არასდროს დაავიწყდება მისი საალდგომო „ჭონა“, საშობაო „ალილო“... მოლხენაც კარგი იცოდა და ჭირში მოყვრის გვერდით ერთგულად დგომაც.

ძია ქაქუცა ამ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა, ოთხმოც წელს გადაცილებული, მაგრამ მაინც მხნე და ომახიანი. დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ, ჩოხას ჩაიცვამდა, ფეხით ჩამოვიდოდა ლიახვის ხეობიდან და ისე მიაცილებდა მთაწმინდამდე მისთვის ასე შორეულ, მაგრამ ასე ახლობელ ადამიანს. ამბობენ, რომ ჩოლოყაშვილს ბევრი ნათლული ჰყავდა, ქაქუცა ბასიშვილი მისი ერთ-ერთი ღირსეული ნათლული იყო.

... დიდი ადამიანები ერის ხსოვნაში მუდმივად ცოცხლობენ. ვინ იცის, ახლაც, ანდერძახდენილი, ჩვენს შორის დაჰქრის ლანდი თავგანწირული ბელადისა, დაჰქრის და გმინავს მისი სული დაკარგული ტერიტორიების შემხედვარე, გვამხნევებს და გვამაღლებს თავგანწირვამდე.

ეს კი სწორედ ასე რომ არის, მოწმობს ის აღმაფრენა და სიყვარული, ერის სულიერ ენერგიად რომ ანთებულა დღევანდელ საქართველოში.

გუშინ მთაწმინდამ მკერდში ჩაიხუტა საყვარელი ძე, ღირსი ილიასა და კოსტავას გვერდით განსვენებისა, მათებრ მარტვილი და უკვდავების შარავანდედით მოსილი.

**ლია ჭიღლაძე**



⊙ გუშინ



დამშვიდობება გმირთან, სამების ტაძარში.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

⊙ ოპოზიცია

# ხელისუფლება მარტო დარჩება,

## ასე ვარაუდობენ მრეწველები

**მართალია, ისინი მრეწველობით ცდილობენ საქართველოს გადარჩენას, მაგრამ ახლა გადაწყვიტეს, პოლიტიკურ ასპარეზზეც აქტიურად გამოჩნდნენ. როგორც იცით, ახლახან მრეწველებმა ყრილობა მოიწვიეს, პარტიის ლიდერად გოგი თოფაძე აირჩიეს, თავმჯდომარედ — ზურაბ ტყემალაძე, გენერალურ მდივნად — გიორგი ცაგარეიშვილი და ოქროდ ღირებულ დუმილზე უარი თქვეს. ვერ გეტყვით, რამდენად ხმამაღალი იქნება მათი სიტყვა, ის კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ხელისუფლების საქებრად ძვირად თუ წარმოიცდენენ რამეს.**

ჩვენ არ ვართ ჩასაფრებული ოპოზიცია, — ამბობს გიორგი ცაგარეიშვილი, თუმცა, მე ვერ ვიხსენებ, მას ან მის თანაგუნდელებს დღევანდელი ხელისუფლების რომელიმე ნაბიჯი არ გაეკრიტიკებინათ. ამას მრეწველთა პარტიის გენერალური მდივანი და საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი იმით ხსნის, რომ ხელისუფლებას ჯერჯერობით კარგი ბევრი არაფერი გაუკეთებია. ცაგარეიშვილი „ვარდების რევოლუციას" საზღვარგარეთიდან დაფინანსებულ სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს, ბოლო ორ წელიწადს კი — თვითგამორკვევის პროცესს. ეს იყო სახადი, რომელიც ყველა პარტიამ გამოიარა და გამოსცადა, ზოგი გამოერკვა, ზოგი — ვერა. ორწლიანი ფიქრის, დაკვირვების, ახალი კადრების მოძიებისა და რეორგანიზაციის შემდეგ მრეწველებმა, როგორც გითხარით, აქტიურად მოქმედება გადაწყვიტეს.

მიუხედავად იმისა, რომ ცაგარეიშვილს არ უყვარს სიტყვათშეხამება „ახალი სახე" (ვისაც წინა და დღევანდელმა ხელისუფლებამ ახალი სახე უწოდა, ყველა გამჩანაგებლად იქცაო, —ამბობს), მაინც რამდენჯერმე მოუწია მისი წარმოთქმა. სტრუქტურული რეორგანიზაციის პერიოდში პარტიის ხელმძღვანელები ახალი სახეების წინ წამოწევაზე ფიქრობდნენ. გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, ყრილობაზე კარგად გამოჩნდა, რომ მრეწველთა პარტია, პოლიტიკური პროცესებისგან აქამდე შორს მდგარი, ჯანსაღი ამბიციის მქონე გონიერი ახალგაზრდების ნაკლებობას არ უჩიოდა. რეორგანიზაციის შედეგად კადრები გადახალისდა, 120-კაციანი სათათბიროს შემადგენლობა განახევრდა, შემცირდა მთავარი კომიტეტის წევრთა რიცხვიც. პარტიის ორივე ორგანოში ბევრი ახალი სახე გამოჩნდა.

ცაგარეიშვილის თქმით, მათი პარტია პოლიტიკურ ასპარეზზე იქნება, სანამ ქვეყანაში არ დაიწმინდება პოლიტიკური სპექტრი, არ დასრულდება ლოზუნგური მმართველობა, არ გათავისუფლდება ბიზნესი, დაცული არ იქნება ადამიანის უფლებები და ა. შ. საქართველოში დემოკრატიული პრინციპების საბოლოოდ დამკვიდრებას და ეკონომიკის განვითარებას ერთი-ორი წელიწადი რომ არ ეყოფა, ფაქტია. გამოდის, მრეწველებმა სამოქმედო გეგმა საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდზე უნდა გათვალონ. ისინი უკვე მუშაობენ ახალ საპროგრამო დებულებაზე.

— სახელმწიფო აგრძელებს მეწარმეთა ჯიბეებში ხელის ჩაყოფას, — ამბობენ მრეწველები და პრობლემების მოგვარების ერთადერთ გზას თავიანთ პოლიტიკურ აქტივობაში ხედავენ. ხოლო იმ კოდექსს, რომელიც ხელისუფლებამ თითქოს მეწარმეობის განსავითარებლად შეიმუშავა, კატასტროფად მიიჩნევენ.

— მიიღეს კანონი ფინანსური ამნისტიის შესახებ, რომლის შედეგადაც ეროვნულ ბანკში 32 ათასი ლარი შევიდა. ეს სამარცხვინო არ არის? ყველას წყალი აქვს პირში ჩაგუბებული. ჩვენ კი პარლამენტში ჯერჯერობით მხოლოდ შვიდი ადამიანით ვართ წარმოდგენილი და პროცესებზე გავლენას ვერ ვახდენთ.

პრეზიდენტმა ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს განაცხადა, სახელმწიფომ ბიზნესისგან შორს დგომა ისწავლაო. თუმცა, გიორგი ცაგარეიშვილის აზრით, არაფერიც არ უსწავლია. ვითარება თუ შეიცვალა, მხოლოდ უარესობისკენ. გოგი თოფაძემ საჯაროდ ისიც კი თქვა, კობა ბექაური ყველას აიძულებდა, მხოლოდ „ოპიზაში" განებაჟებინათ შემოტანილი ტვირთიო. ნიკა გვარიამ თოფაძის განცხადება მის ბიზნესში არსებული პრობლემებით ახსნა.

— ასეც რომ იყოს, სათაკილოა? თუ „ყაზბეგს" უქმნიან პრობლემებს, სხვა კომპანიებს რას უზამენ? არ უნდა ეთქვა და ამირანივით გულში ემღერა? თუ სუბართან ან ადეიშვილთან მისულიყო? ან იქნებ ბარიკადები აღემართა და დროშა ეფრიალებინა? — მიჯრით სვამს შეკითხვებს გიორგი ცაგარეიშვილი. დროშები ერთხელ უკვე ააფრიალა ხალხმა და, თუ ოპოზიციას დავუჯერებთ, კარგი ვერაფერი მიიღო. საზოგადოება გაბითურებული, მოტყუებული დარჩა, — ამბობს მრეწველთა პარტიის გენერალური მდივანი. — ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად ყველა ღონე იხმაროს.

— ეს მხოლოდ სიტყვებია, ბატონო გიორგი, ნაცნობი სიტყვები...

— დიახ, სიტყვებია, რომლებიც საქმედ უნდა იქცეს. ჩვენ ძალების კონცენტრირება მოვახერხეთ, სხვა პოლიტიკურმა ჯგუფებმაც უნდა შეუძახონ თავიანთ ამომრჩევლებს. უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება, დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებზე პიკს მიაღწევს.

ხალხს თუ ჯერ კიდევ შერჩა არჩევნებზე მისვლის სურვილი, მივა. მწრეველებმა კი, შეიძლება, ბოიკოტს მიმართონ, თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში და საარჩევნო კოდექსში ცვლილებები არ შევა (რაც ნაკლებად არის მოსალოდნელი). გიორგი ცაგარეიშვილის აზრით, ქვეყნის მეთაურებს პანიკურად ეშინიათ ბოიკოტის. ხელისუფლება მარტო დარჩება, ეს იქნება ფატალური შედეგი, — ვარაუდობენ მრეწველები.

**რუსუდან გახარია**

⊙ მხარე

# ზუგდიდი ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება

**კაცი ბრმა ან სულელი უნდა იყოს, რომ არ შეამჩნიოს ის სასიცოცხლო და აღმშენებლობითი ძვრები, რაც ბოლო ხანს წარმატებით ხორციელდება ზუგდიდში. ვარდების რევოლუცია შეიძლება ბევრს სასაცილოდ მიაჩნდეს, მაგრამ მათ გასაგონადაც მინდა ვთქვა, რომ ისინი დიდად ცდებიან. რომ არა, ვარდების რევოლუცია, ზუგდიდი ისევ სიბნელისა და განუკითხაობის ჭაობში იქნებოდა. სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში, 1991 წლის დასასრულიდან დაიწყო ნგრევის პროცესი, რომელიც ვარდების რევოლუციამდე მეტ-ნაკლებად გრძელდებოდა.**

საქართველოში უსისხლო რევოლუციის ავტორი და ორგანიზატორი, ხმათა დიდი უმრავლესობით არჩეული ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 20 ნოემბერს სტუმრობდა ზუგდიდს, რომელსაც, როგორც თვითონ აღნიშნა გამოსვლისას, მოეწონა სამეგრელოში გაკეთებულ საშვილიშვილო საქმეები. მანამდე იგი იყო სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ხობსა და ფოთში. ყველგან სასიკეთო ცვლილებები ნახა. უპირველესად აღსანიშნავია, 90-კილომეტრიანი ევროსტანდარტით გაკეთებული და ასფალტდაგებული გზა, რომელიც სენაკიდან იწყება და ჩხოროწყუ-წალენჯიხის შემოვლით ზუგდიდში მთავრდება. ახალი, რევოლუციური მთავრობის ცხოველ და მიზანმიმართულ საქმიანობაზე მიუთითებს სენაკში სამხედრო ქალაქის მშენებლობა, ფოთში წლობით გაჩერებული და გაძვალტყავებული წისქვილკომბინატის ამოქმედება, ჩხოროწყუში დაკონსერვებული სამშობიარო სახლის აშენება და დედათა სამსახურში ჩაყენება.

პრეზიდენტმა განსაკუთრებით ბევრი სიახლე იხილა ზუგდიდში: საოლქო პროკურატურის იდეალურად კეთილმოწყობილი შენობა, რომლის პრეზენტაციაც პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მოეწყო; ორი შადრევანი — დადიანების სასახლის წინა ტერიტორიაზე და სამხარეო ადმინისტრაციის წინ მდებარე თავისუფლების მოედანზე. ზუგდიდის საზოგადოება, მოსწავლე ახალგაზრდობა ათი წელი ამაოდ ელოდა კინოთეატრს. ვარდების რევოლუცია რომ არა, დამწვარ-დანგრეული კინოთეატრი, ფენიქსივით ვერ აღდგებოდა მკვდრეთით სამი თვის განმავლობაში. იგი პრეზიდენტის მონაწილეობით ჩადგა ხალხის სამსახურში. ყველაზე მთავარი და სასიხარულო მაინც თბილისის კარდიოგრამის ცენტრი „გულის" ფილიალის გახსნაა, რომელიც ზუგდიდელმა ანზორ მელიამ განახორციელა. იქ 20-მდე ადგილობრივი მაღალკვალფიციური მედიცინის მუშაკი იმუშავებს.

უპატრონო, ღარიბი და მარტოხელა ადამიანებისთვის ქალაქის ცენტრში, წერეთლის ქუჩაზე გაიხსნა უფასო სასადილო, რომელსაც ადგილობრივი ბიზნესმენები დააფინანსებენ. მაღალ დონეზე, კაპიტალურად შეკეთდა სამხატვრო გალერეა. რეგულარულად გაიმართება მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქალაქისა და მხარის ხელმძღვანელობის გეგმაზომიერი, ანალიტიკური მუშაობის შედეგად, ზუგდიდქალაქმა იერ-სახე იცვალა, რაც იმის ნიშანია, რომ ჭრილობები მოიშუშა და ახალი, ცივილიზებული ცხოვრების ფერხულში ჩაება.

ფაქტი ჯიუტია: პრეზიდენტის სტუმრობას ზუგდიდში უექსესოდ არ ჩაუვლია. წინა ღამით სამი აქტიური „ზვიადისტი" მანდილოსანი გაუჩინარდა. ერთ-ერთი მათგანი ლუიზა ფიფია 2003 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდში სააკაშვილის მიტინგზე დაიჭრა და რამდენიმე დღე საავადმყოფოში იწვა. ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ აზა კარტოზია, დალი ლატარია და ლუიზა ფიფია 20 ნოემბერს ზვიად გამსახურდიას ბიუსტთან სპეცაქციის ჩატარებას აპირებდნენ, რითაც სურდათ მიეპყროთ ხალხის ყურადღება. როგორც ჩანს, ეს არ გამორჩათ სათანადო სამსახურებს, რის შედეგადაც ისინი ერთი დღით მოაცილეს ქალაქს.

გუშინ დილით შემთხვევით შევხვდი ერთ-ერთ მათგანს — დალი ლატარიას, რომელიც გაოცებულია ამ ფაქტით და ამბობს, ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, პირიქით, აქტიურად ვმონაწილეობდით ვარდების რევოლუციაშიო...

ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ხელისუფლება ორი წლის ნაშრომ-ნაჯაფს აანალიზებს, უფრო სწორად, ითვლის გაკეთებულ საქმეს. რეალურის უგულებელყოფა არ ეგების. ბევრი გაკეთდა, მაგრამ იგი მხოლოდ დასაწყისია. ამაზე გასაგებად ილაპარაკა პრეზიდენტმა დადიანების სასახლეში, სადაც საქართველოს მხარეთა გუბერნატორებს შეხვდა და საიდანაც მან სრულიად საქართველოს მოსახლეობას მიმართ. პრეზიდენტმა ბრძანა: სამეგრელოდან დაიწყო საქართველოსა და თბილისის განთავისუფლება. ასევე, აქედან დაიწყება საქართველოს გამთლიანება, აფხაზეთის დაბრუნებაო... ღმერთმა უსმინოს.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ" საკ. კორ.**

⊙ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# ბიზნესმენზე ზემოქმედება გრძელდება

## მიხეილ ქარელის დაცვის უფროსის ქვისლი მეწარმის შვილს თავს დაესხა

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ღრმა შეშფოთებას გამოხატავს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ კვლავ გრძელდება გორელი ბიზნესმენის გივი ჯამელაშვილისა და მისი ოჯახის წევრების ტერორი.**

18 ნოემბერს, დაახლოებით 21 საათზე, გივი ჯამელაშვილის შვილს თავს დაესხა სამი შეიარაღებული პირი, რომლებმაც ის სცემს და დაჩოქებას აიძულებდნენ. სასწრაფოდ გამოძახებულმა პატრულმა ერთი პიროვნება დააკავა. ეს გახლდათ შიდა ქართლის გუბერნატორის მიხეილ ქარელის დაცვის უფროსის ქვისლი კახა ხახიაშვილი.

კახა ხახიაშვილი ამჟამად დუმილის უფლებას იყენებს და კომენტარს არ აკეთებს მომხდარის გამო. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ბიზნესმენი გივი ჯამელაშვილი აცხადებს, რომ ეს მიხეილ ქარელის მიერ ორგანიზებული თავდასხმაა. რამდენიმე დღის წინათ, მას გუბერნატორის მძღოლი და რამდენიმე პირი მიუვარდა და სცემა.

ჯამელაშვილსა და ქარელს შორის დავა დაახლოებით ერთი თვის წინათ დაიწყო, მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა ხილის გადამმუშავებელ ქარხანაში ბუნებრივი გაზი გუბერნატორთან შეუთანხმებლად გაიყვანა. ქარელის ბრძანებით საწარმოს მილი იმ მოტივით ჩაუჭრეს, რომ გაზი ჯერ მოსახლეობისთვის უნდა მიეწოდებინათ.

გივი ჯამელაშვილი მიმართავს დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლებს, მისცენ მას პოლიტიკური თავშესაფარი, რადგანაც მის სიცოცხლეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საფრთხეს უქმნიან.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გმობს შიდა ქართლის გუბერნატორის მიხეილ ქარელის ამგვარ საქციელს, რომლის დანაშაულებრივი საქმიანობა უშუალოდ ვლინდება ჯამელაშვილის მიმართ განხორციელებულ დევნაში.

# პატრულისგან ნაცემი მოქალაქე ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოხვდა

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გაავრცელა ინფორმაცია საპატრულო პოლიციის მიერ მოქალაქე გიორგი მიქიაშვილის ცემის ფაქტის გამო, რის შედეგადაც მას ფსიქიკური პრობლემები შეექმნა.**

მოქალაქე გიორგი მიქიაშვილი ორჯერ სცემეს, ჯერ დაკავებისას, შემდეგ კი — წინასწარი დაკავების იზოლატორში. ცემის შედეგად საჭირო გახდა მისი ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაყვანა.

ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობა საქართველოში დღითი დღე უფრო უარესდება. გიორგი მიქიაშვილის ცემის ფაქტი სასამართლო პროცესზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემაც აღიარა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხედველობაში არ მიიღო ეს მდგომარეობა აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს. საგანგაშოა, რომ დღემდე ფიზიკური დაზიანების ხარისხის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ხორციელდება.

მოქალაქის ცემით საპატრულო პოლიციამ აშკარად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსი, პოლიციის შესახებ კანონი, ოპერატიული სამძებნო საქმიანობის შესახებ კანონით. ასევე დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია, გაეროსა და ევროსაბჭოს კონვენციები წამების შესახებ.




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართავს, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება მითითებულ დანაშაულთან დაკავშირებით და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პოლიციელები. ამასთანავე, მიმართავს სასამართლოს, გაითვალისწინოს მიქიაშვილის მძიმე მდგომარეობა და სასწრაფოდ გაათავისუფლოს პატიმრობიდან.

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**

⊙ კონტროლი

# დამნაშავენი პასუხს აგებენ

**სანიტარიული ზედამხედველობის უფროსმა დავით მესხიშვილმა გადაწყვიტა, გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაემოწმებინა, თუ რაიონული ინსპექციებიდან მიღებული ინფორმაციები რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ ბევრგან საქმე ადგილიდან არ იყო დაძრული, ყურად არ იღებდნენ ცენტრალური აპარატიდან მიღებულ რეკომენდაციებს.**



ალმოჩნდა, რომ მართლაც, რამდენიმე რაიონის სანიტარიული ინსპექციის უფროსი არა მარტო ხელოვნურად აზვიადებდა სამუშაოთა შესრულების მოცულობას, არამედ პირიქით, დანაშაულებრივად უგულებელყოფდა დაკისრებულ მოვალეობას, ჰქონდა პრობლემები ფინანსურ ორგანოებთან და სხვა.

ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ქვეყნის მთავარ სანიტარიულ ექიმს სპეციალურად შექმნილი კომისიის მეშვეობით გადაემოწმებინა თითქმის ყველა რაიონის (და ასეთი კი 64-ზე მეტი) სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციათა მუშაობა.

შემოწმების შედეგად უმეტესი რაიონებიდან ინსპექციათა მიერ შემოწმებული ობიექტებისა და გამოვლენილი დარღვევების საერთო მაჩვენებლებს შორის მკვეთრი სხვაობა აღინიშნა, რაც იწვევს ეჭვს, რომ ძირითადი შემოწმებული ობიექტების სანიტარიული მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიყო აბაშის, ახალგორის, ახმეტის, ბაღდათის, გურჯაანის, ზესტაფონის, თბილისის, თელავის, თერჯოლის, კასპის, მარტვილის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, გორის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ვანის, თეთრი წყაროს, ცაგერის, ხაშურისა და ხონის რაიონული ინსპექციები.

გამოირკვა, რომ ობიექტების შემოწმებისას აღმოჩენილი დარღვევების გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე დადგენილება არ გამოუტანიათ და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად სათანადო მუშაობა არ ჩაუტარებიათ ახალქალაქის, ლენტეხის, ნინოწმინდის, ყვარლის, ცაგერის, წალკის, ახმეტის, დმანისის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, მარნეულის, ჩოხატაურისა და ხარაგაულის რაიონულ ინსპექციებს.

ზოგან, შემოწმების შედეგად ისეთი დარღვევები დაფიქსირდა, აუცილებელი იყო, თავის დროზე ობიექტის მუშაობა შეეჩერებინათ, მაგრამ, ალბათ, გარკვეული გარიგების საფუძველზე ასეთი დადგენილება არ გამოტანილა. ასე მოხდა, მაგალითად, ბაღდათის, თიანეთის, ნინოწმინდის, ყვარლის, წალენჯიხის, წალკის, აბაშის, ახალქალაქის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულისა და ხარაგაულის რაიონულ ინსპექციებში.

მეტიც, საქართველოს სანიტარიულ კოდექსში შეტანილი ცვლილება რაიონებში მომუშავეთათვის დროულად იყო ცნობილი, მაგრამ, როგორც გამოირკვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ზუგდიდის, ჭიათურის, ბაღდათის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, ლანჩხუთის, ონის, ოზურგეთის, საგარეჯოს, წალენჯიხისა და ხონის რაიონული ინსპექციები 2005 წლის 18 ივლისიდან არასწორად ახორციელებდნენ თავიანთ მოვალეობას.

გარდა ამისა, ზოგიერთ რაიონულ ინსპექციაში ჰიგიენური დასკვნის გაცემისას არაკანონიერად გადაახდევინეს თანხა ობიექტის ხელმძღვანელს — დიახ, მდგომარეობა ასეთია, — თქვა დავით მესხიშვილმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე — ჩვენ არ ვაპირებთ შევურიგდეთ და მით უმეტეს, დავფაროთ არსებული ბრალეულობანი, რაც შემოწმების შედეგად გამოვლინდა, პირიქით, ვაპირებთ რამდენიმე საქმეზე ვთხოვოთ პროკურატურას, ჩაატაროს საგამოძიებო მუშაობა, მაგალითად, სენაკში ქრთამიც აიღეს. ალბათ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი სათანადო წარდგინებას გადააგზავნის რაიონებში მოთხოვნით, რათა გამგეობების ხელმძღვანელებმა გაათავისუფლონ სამუშაოდან ინსპექციათა უფროსები, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ საქმეს. ალბათ, სამუშაოდან გათავისუფლება იქნება უმცირესი სასჯელი, რაც უშუალოდ დამნაშავე მუშაკებს ელით.

**ნაზი იმნაიშვილი**

⊙ ინფორმაცია

### პროფესორ-მასწავლებელთა სარჩელი სასამართლომ მიიღო

**ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნესტან კირთაძის და დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი პროფესორების პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ მომზადებული სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები პრეზიდენტის 8 ივნისის ბრძანებულების გაუქმებას ითხოვენ, რომლის საფუძველზეც გაუქმდა უნივერსიტეტის ავტონომიურობა, დიდი სამეცნიერო საბჭო და წესდება.

მოსარჩელეთა ინტერესებს ადვოკატი არჩილ კბილაშვილი დაიცავს.

### ზუგდიდელი ქალბატონები გაიტაცეს?

**ზუგდიდის** მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა ფიფიამ ზუგდიდში, დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმ ადგილას, საიდანაც საქართველოს პრეზიდენტმა მოსახლეობას მიმართა, პრესკონფერენცია გამართა.

გოჩა ფიფიას განცხადებით, პრეზიდენტის ზუგდიდში ჩასვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით სპეცსამსახურის თანამშრომლებმა გაიტაცეს ათი ქალბატონი, რომლებიც აპირებდნენ უკმაყოფილების გამოთქმას ზუგდიდის ცენტრალურ ბაზარში არსებული ვითარების გამო.

— ქალებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, მათ თავზე ტომრები ჩამოაცვეს. ქალების უმეტესობა ჩამოსვეს ქუთაისის, ნაწილი კი ბაღდათის მიმდებარე ტყეებთან. ეს იყო მთელი სამეგრელოს მოსახლეობის შეურაცხყოფა. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის პათოსი იყო ყალბი და რიტორიკული, — განაცხადა ფიფიამ.

მისი თქმით, ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და იგი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს, რათა არ მოხდეს ამ საქმის მიფუჩეჩება.

### ლეიბორისტები „მხილების კვირას" იწყებენ

**„ვარდების რევოლუციის"** მეორე წლისთავთან დაკავშირებით, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ე.წ. „მხილების კვირას" იწყებს.

„ლეიბორისტები" ხელისუფლების მიერ „ვარდების რევოლუციასთან" დაკავშირებით გამოცემულ ბროშურას - „საქართველოს 16 გამარჯვება" პერმანენტულ ბრიფინგებს დაუპირისპირებენ.

როგორც ინტერპრესნიუსს პარტიის პრესსამსახურში განუცხადეს, მომავალი კვირის განმავლობაში პარტიის ლიდერები „მთავრობის უმსგავსო ქმედებებს კონკრეტული ფაქტებით გამოამზეურებენ".

### ოფიციალური ცხინვალი მოითხოვს

**სამხრეთ** ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება ოფიციალური თბილისისგან ცხინვალის ციხიდან გაქცეული ძმების ქარქუსოვების გადაცემას მოითხოვს.

— ცხინვალის ციხიდან გაქცეული ძმები ჯემალ და იანეკ ქარქუსოვები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმალებიან, დამნაშავეები არიან და ისინი საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთს უნდა გადასცეს, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შს მინისტრმა მიხეილ მინძაევმა ცხინვალის ციხიდან ძმები ქარქუსოვების გაქცევის ფაქტის კომენტირებისას.

მისივე თქმით, ქართული მხარის მიერ ძმები ქარქუსოვების ცხინვალისთვის გადაცემის საკითხზე, იგი უკვე ესაუბრა შიდა ქართლის პოლიციის უფროსს.

### არუთინიანის საქმის განხილვა გადაიდო

**თბილისის** საქალაქო სასამართლოში თავისუფლების მოედანზე 10 მაისს აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ვლადიმერ არუთინიანის საქმის განხილვა 2 დეკემბრისთვის გადაიდო.

პროცესის გადადების მიზეზი არუთინიანის დაცვის საკითხი გახდა. განსასჯელმა ადვოკატის აყვანაზე უარი განაცხადა. როგორც არუთინიანმა განმარტა, ვინაიდან სასამართლოს უკვე ყველაფერი წინასწარ აქვს გადაწყვეტილი, ადვოკატის პროცესში მონაწილეობას აზრი აღარ აქვს.

კანონით, თუ პირს ბრალად ისეთი მუხლი აქვს წაყენებული, რომელიც სასჯელის უმაღლეს ზომას — სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს, სასამართლო განსასჯელს იძულებით დაცვას უნიშნავს.

არუთინიანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 10 მუხლით აქვს წაყენებული, მათგან უმრავლესობა სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს, ამიტომ პროკურორმა ანზორ ხვადაგიანმა არუთინიანისთვის სახაზინო ადვოკატის დანიშვნის შუამდგომლობა დააყენა.

მოსამართლე დავით ჯულელმა ბრალდების მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ახალ ადვოკატს საქმის გასაცნობად 10 სამუშაო დღე მისცა.

საქმესთან დაკავშირებით პირველი სხდომა 2 დეკემბერს 12 საათზე გაიმართება. გამწესრიგებელ სხდომაზე მხარეები შუამდგომლობებს წარადგენენ. პროცესს განსასჯელიც დაესწრება.

### პედაგოგებმა აქციის გამართვის საშუალება არ მისცეს

**ქართულ-ოსური** კონფლიქტის ზონიდან სამი თვის წინათ გატაცებული გენო პეტრიაშვილის თანაკლასელები გუშინ დილით, სკოლაში ჩანთების გარეშე გამოცხადდნენ. ორდღიანი ხმაურიანი აქციის შემდეგ, ისინი კიდევ ერთხელ ცდილობენ მიიქციონ ძალოვანებისა და საქართველოს ხელისუფლების ყურადღება.

ბავშვები გუშინაც აქციის გამართვას გეგმავდნენ, თუმცა პედაგოგებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს და გაკვეთილებზე ძალდატანებით შეიყვანეს.

გორის მე-9 საშუალო სკოლის VI კლასელები საქართველოში მოქმედ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ბავშვთა დაცვის ორგანიზაციებს და თანატოლებს თანადგომას და მხარდაჭერას სთხოვენ.

11 წლის გენო პეტრიაშვილი დაუდგენელმა პირებმა ფრონეს ხეობიდან 95 დღის წინათ გაიტაცეს და ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაიყვანეს. მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

**ინტერპრესნიუსი**

კონფლიქტის ზონა

# „ვარდების რევოლუციის“ ქმა

## ერთი წლის წინათ უკრაინაში საბოლოოდ გაიმარჯვა დემოკრატიამ

**ყოველი სახელმწიფოს ისტორიაში არის მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მის შემდგომ განვითარებაზე.**

უეჭველია, რომ უკრაინის ისტორიაში ასეთი მოვლენა გახდა „ნარინჯისფერი რევოლუცია“, რომელიც გამოიწვია პრეზიდენტის არჩევნების დროს მომხდარი გაყალბებების წინააღმდეგ მოქალაქეთა პროტესტის მასობრივმა აქციამ.

ერთი წლის წინ ასი ათასობით ადამიანი გამოვიდა უკრაინის დედაქალაქის მთავარ მოედანზე. და ეს ადამიანები არ მოითხოვდნენ არც ლუკმა-პურს, არც ხელფასის გაზრდას და არც რაიმე სხვა ეკონომიკურ მოთხოვნებს გამოთქვამდნენ. ისინი გამოვიდნენ თავიანთი ღირსების, სამართლიანობის დასაცავად.

ეს არის ახალი მოვლენა ჩვენს მოქალაქეთა დემოკრატიული შეგნების ჩამოყალიბებაში. და ეს ერთმნიშვნელოვნად მოწმობს, რომ უკრაინელი ხალხი ესწრაფვის დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრებას.



დემოკრატიამ გაიმარჯვა. უკრაინაში მოხდა ხელისუფლების ცივილიზებული გადაცემა დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტისთვის, და არა ზემოდან დანიშნული მემკვიდრისთვის. ეს იყო მშვიდობიანი რევოლუცია — სისხლისმღვრელი შეტაკებისა და ძალადობის, სამოქალაქო ომის გაჩაღების საფრთხის გარეშე.

დემოკრატიის გამარჯვებამ მხოლოდ დასაბამი მისცა საზოგადოებაში გაჯანსაღების პროცესების დაწყებას. შემდგომში ამას უნდა მოჰყვეს ისეთი სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის შექმნა, რომელსაც ვერაფერს დააკლებს კორუფციის, ავტორიტარიზმის, ცენზურის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ვირუსები.

რევოლუციამ მისცა დასაბამი ეკონომიკური აყვავების პროცესებისკენ მოძრაობას, გახდა საბაზრო ეკონომიკაზე სოციალურად ორიენტირებულ სახელმწიფოში უკრაინელთა ღირსეული ცხოვრების გარანტია.

რევოლუციამ ძალზე დიდი იმედები ჩაუსახა საზოგადოებას. მაგრამ მან ასევე მოიტანა პასუხისმგებლობის გრძნობა და იმის შეგნება, რომ დასახული პერსპექტივების რეალიზება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთელი უკრაინის საზოგადოების პატიოსანი, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად.

გარდაქმნები აუცილებლად იქნება. ეს უკვე დღეს ჩანს. შეიცვალა უკრაინის საგარეო პოლიტიკა. წინანდელისგან იგი უმთავრესად განსხვავდება იმით, რომ ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის შესახებ სიტყვიერი დაპირებები შეცვალა აქტიურმა და თანამიმდევრულმა მოქმედებამ. ჩვენ მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ: ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტებია გაწევრიანება ნატოში და ევროკავშირში.

მიმდინარე წლის თებერვალში უკრაინამ და ევროკავშირმა მოიწონეს სამოქმედო გეგმა. მისი განხორციელება გათვალისწინებულია სამი წლის განმავლობაში და იძლევა ევროკავშირთან პრაქტიკული ურთიერთმოქმედების შესაძლებლობას, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში.

უახლოესი მომავლისთვის მოველით, რომ ევროპის კავშირი უკრაინას მიანიჭებს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსს.

შემუშავების სტადიაშია უკრაინასა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ მოლაპარაკების პროცესის გამართვის საკითხი.

შეთანხმებულია უკრაინასთან სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ მოლაპარაკების გასამართავად ევროკომისიის მანდატის პროექტი.

უკრაინა მტკიცედ მიიწევს ნატოს წევრობის მოპოვების მიმართულებით. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ სამოქმედო გეგმასთან უკრაინის შეერთების განზრახვას მიეცა რეალური ფორმა.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტით ვითარდება რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობა.

ამ ბოლო თვეებში მიენიჭა სტრატეგიული დონე უკრაინის ურთიერთობას შეერთებულ შტატებთან. ჩვენ ხელი მოვაწერეთ „ახალ ასწლეულში უკრაინა-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის დღის წესრიგს“. შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ მზად არის მხარი დაუჭიროს უკრაინას, ქვეყანას, რომელსაც სურს შესვლა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუციებში ინტეგრაციისთვის გამიზნული კურსის განხორციელების განუყოფელი კომპონენტი გახდა უკრაინის ახალი რეგიონული პოლიტიკა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ძალისხმევას ვახმართ თანამშრომლობის შესაბამისი რეგიონული ფორმატების განვითარებას, ისეთი რეგიონული წარმონაქმნების განმტკიცებას, როგორიც არის სუამი, ცენტრალური ევროპის ინიციატივა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.

სუამის ფარგლებში უკრაინის საქმიანობის ცალკე მიმართულება გახდა მონაწილეობა ეგრეთ წოდებული „გაყინული კონფლიქტების“, უწინარეს ყოვლისა, დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში. სუამის კიშინიოვის სამიტზე, რომელიც 2005 წლის 22 აპრილს გაიმართა, უკრაინის პრეზიდენტმა ვ. იუშჩენკომ წარმოადგინა ინიციატივები დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. უკრაინა აპირებს მათ განხორციელებას და მოუწოდებს ყველა მონაწილე მხარეს ისეთი შედეგიანი თანამშრომლობისთვის, რომელიც მიზნად დაისახავს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გამყარებას.

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ გასულ დროში მოხდა პოზიტიური ცვლილებები უკრაინა-საქართველოს ურთიერთობაში.

უკვე 2005 წლის იანვრის დამდეგს ორი სახელმწიფოს ლიდერებმა ხელი მოაწერეს კარპატის დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნეს, რომ მზად არიან საერთო ძალისხმევით გააღრმაონ უკრაინელი და ქართველი ხალხების დემოკრატიული მონაპოვარი.

უკრაინის და საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკურმა ნებამ ხელი შეუწყო იმას, რომ უკვე მიმდინარე წლის მარტში ორი სახელმწიფოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას სტრატეგიული ხასიათის ურთიერთობის განვითარების შესახებ.

ახალი პოლიტიკური რეალიების პირობებში, უკრაინა-საქართველოს ტანდემმა უკვე წამოაყენა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ინიციატივები. კერძოდ, საქმე ეხება ყირგიზეთის



უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტში ამ ქვეყანაში უკრაინის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების დიპლომატიურ მისიას.

უკრაინის და საქართველოს აქტიურობის წყალობით დაიწყო სუამის თვისებრივად ახალ საერთაშორისო ორგანიზაციად ტრანსფორმაციის პროცესი.

უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება უკრაინა-საქართველოს „დემოკრატიული არჩევანის“ ინიციატივის იმპლემენტაციას.

2005 წელს უკრაინა-საქართველოს ურთიერთობა თვისობრივად ახალ დონეზე დადგა.

ამან შექმნა ხელსაყრელი პირობები ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისთვის, რომელიც 2005 წელს საკმაოდ დინამიკურად ვითარდება.

საქართველოს ათ ძირითად სავაჭრო პარტნიორს შორის უკრაინას უკავია მეოთხე ადგილი რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ.

შეინიშნება ჩვენს ქვეყნებს შორის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მოცულობის მუდმივი ზრდის ტენდენცია. მაგალითად, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოსთან უკრაინის საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობამ მიაღწია მთელი 2004 წლის დონეს. 2004 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, ეს მაჩვენებელი თითქმის 50,2 პროცენტით გაიზარდა.

საგარეო-ეკონომიკური ბრუნვის ზრდასთან დაკავშირებული ტენდენციის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი მოცულობა მომავალ წელს სულ ცოტა მესამედით გადააჭარბებს ამჟამინდელ დონეს.

ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიაზე უკრაინის ეროვნული ინტერესები მარტო სავაჭრო ბრუნვის გადიდებით როდი შემოიფარგლება. ჩვენთვის საქართველო მნიშვნელოვანია, უწინარეს ყოვლისა, როგორც პარტნიორი ტრანსპორტისა და ენერგომომარაგების გზებისა და წყაროების დივერსიფიკაციის უზრუნველყოფის სფეროში. ამასთან დაკავშირებით, 2005 წელს დაიწყო რამდენიმე პროექტის შემუშავება.

აქტიურად ვითარდება ურთიერთობა ჰუმანიტარულ სფეროში. ჩვენი სახელმწიფოების მეთაურებს შორის მიღწეულ მორიგებათა შესასრულებლად, ამ დროისთვის ხორციელდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც უკავშირდება საქართველოში ჩვენი ერის უდიდესი შვილების ხსოვნის უკვდავყოფას და სამამულო კულტურის მიღწევათა პოპულარიზაციას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების განხორციელების თვალსაზრისით — „უკრაინული კულტურა მსოფლიოში. მსოფლიო ცივილიზებულ სივრცეში გასვლა“. იმედი გვაქვს, რომ 2006 წელს ამას ხელს შეუწყობს ღონისძიება „უკრაინის წელი საქართველოში“.

აღვნიშნავთ რა ამ დღეებში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ პირველ წლისთავს და „ვარდების რევოლუციის“ მეორე წლისთავს, ჩვენ ბევრ რამეს ვხედავთ საერთოს: ჩვენს სახელმწიფოებს სურთ განამტკიცონ დემოკრატიის საფუძვლები, სამართლის უზენაესობა, დაიცვან ძირითადი სამოქალაქო უფლებები რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა და ეკონომიკური აყვავების დამყარების გზაზე.

და ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ამ მიზნების მისაღწევად სრულად იქნება გამოყენებული თანამშრომლობის როგორც ორმხრივი, ისე რეგიონული მექანიზმების პოტენციალი.

**მიკოლა სპისი,**
**უკრაინის ელჩი**





# დასრულდა ბუშის ტურნე აზიის ქვეყნებში

**შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გახდა პირველი ამერიკელი ლიდერი, რომელიც მონღოლეთს ეწვია.**

ულან-ბატორი იყო აზიის ქვეყნებში პრეზიდენტ ბუშის ერთკვირიანი მოგზაურობის ბოლო პუნქტი.

მონღოლეთის პრეზიდენტთან ნამბარინ ენხბაიართან შეხვედრის დროს ბუშმა მადლობა გადაუხადა მას ერაყში ოპერაციის მხარდაჭერისთვის, სადაც მონღოლეთმა გაგზავნა ასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე.

„როგორც კომუნიზმის იდეოლოგია, ისლამური რადიკალიზმის იდეოლოგიაც კრახისთვის არის განწირული, — თქვა ბუშმა. — ეს მოხდება იმიტომ, რომ ძალაუფლების მოპოვებისადმი ლტოლვა ვერ დათრგუნავს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისკენ“.

მიმომხილველთა აზრით, ამერიკელი ლიდერის მოგზაურობა მონღოლეთში მოწმობს, თუ რაოდენ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ამ ქვეყანას შეერთებული შტატებისთვის.

ბუშმა მონღოლეთში სულ ოთხ საათს დაჰყო. შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ მონღოლეთს შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გავრცელების საქმეში.

ამ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა მონღოლეთს გამოუყო 100 მილიონ დოლარზე მეტი — ძირითადად ტექნიკური დახმარებისა და ქვეყანაში რეფორმების პროგრამების განხორციელების მიზნით კადრების მომზადების საკითხებში.

შეერთებულმა შტატებმა ასევე დახმარება გაუწია მონღოლეთს 1992 წელს ახალი კონსტიტუციის შექმნაში, და მას შემდეგ ამერიკელები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი ელექტორატის განათლების პროექტებში.

სადღეისოდ მონღოლეთის მოსახლეობა უმთავრესად ცხოვრობს მეცხოველეობისა და მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე. იქ ადამიანების საშუალო წლიური ხელფასი 400 დოლარს აღწევს.

# რუსეთს და იაპონიას „კურილის კუნძულების საკითხის გადაწყვეტა სურთ“

**განაცხადეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ძიუნიტირო კოიძუმიმ ტოკიოში დასრულებული მოლაპარაკების შემდეგ.**

„ორი ქვეყნის ლიდერების ამოცანაა ის, რომ შეძლებისდაგვარად, მოვაწეროთ ხელი სამშვიდობო შეთანხმებას, რითაც მოგვარდება ჩრდილოეთი ტერიტორიების პრობლემა“, — აღნიშნა კოიძუმიმ.

„ჩრდილოეთის ტერიტორიებს“ იაპონიაში უწოდებენ სამხრეთ კურილის კუნძულებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირმა დაუწესა კონტროლი 1945 წელს, იაპონიასთან ომის დასრულების შემდეგ.

„კურილის პრობლემის“ გამო ფორმალურად არ არის ბოლომდე მოწესრიგებული რუსეთ-იაპონიის ურთიერთობა მთელი ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში.

პუტინის თქმით, ის, რომ არ არსებობს სამშვიდობო ხელშეკრულება, ხელს უშლის რუსეთსა და იაპონიას შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებას.

მანამდე პუტინი აცხადებდა, რომ რუსეთი აპირებს მიიყვანოს ნავთობსადენი წყნარ ოკეანემდე, რათა მიაწოდოს სათბობი იაპონიას და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებს. ტოკიოში ვიზიტის დროს პუტინმა დაადასტურა, რომ რუსეთი აპირებს ციმბირში მშენებარე ნავთობსადენი მიიყვანოს წყნარ ოკეანემდე. ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვში გაჩაღებული იყო ცხარე კამათი იმის თაობაზე, თუ რომელი მიმართულებით უნდა გაეყვანათ ციმბირის მილსადენი — ნახოდკის ნავსადგურისკენ, რომელიც იაპონიასა და შეერთებულ შტატებთან აკავშირებს რუსეთს, თუ დაცინისკენ, ჩინეთის მიმართულებით.

როგორც პეკინი, ისე ტოკიო ძალზე დაინტერესებული არიან რუსეთის ენერგოშემცველებით: იაპონია პრაქტიკულად მთლიანად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მიწოდებაზე, ჩინეთში კი, ექსპერტთა შეფასებით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნილება რეკორდული ტემპით გაიზრდება.

მოსკოვი არ ჩქარობდა, გაეკეთებინა არჩევანი რომელიმე პროექტის სასარგებლოდ. მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი არჩევანი აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რადგან ანგარის ნავთობი არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ ორივე „მილი“ რენტაბელური გახდეს.

ტოკიოში მოგზაურობის დროს პუტინმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ იაპონია არ დარჩება რუსული ნავთობის გარეშე.

„ჩვენ დაინტერესებული ვართ აგრეთვე იმით, რომ იაპონელი მეწარმეები უფრო აქტიურად ჩაებნენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისების პროგრამაში“, — აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა ტოკიოში გამართულ ბიზნესფორუმზე.

## მოკლედ

**34 წლის ფრანგი ქალბატონი სანდრინ ელენ სელი, რომელიც ალკოჰოლით იყო გაბრუებული, ანთებული სიგარეტით ხელში გაემართა თვითმფრინავის ერთ-ერთი ლიუკისკენ. სტიუარდებმა მისი შეჩერება შეძლეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ცდილობდა ლიუკის გახსნას. უნდა აღინიშნოს, რომ მთვრალი მგზავრები საკმაოდ ხშირად აწყობენ მსგავს ინციდენტებს თვითმფრინავებში.**

* * *

**ბრიტანელებს მიაჩნიათ, რომ ავღანეთიდან ნარკოტიკების ნაკადის შემცირების მიზნით, საჭიროა დაინერგოს ლიცენზიათა სისტემა, რომლის მიხედვითაც, ოპიუმი დასავლეთის ქვეყნებში გაიყიდება ლეგალურ საფუძველზე. ამის შემდეგ, მისი გამოყენება შეიძლება ისეთი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების წარმოებისთვის, როგორიც არის მორფინი ან კოდეინი. ეს შეიძლება გახდეს ალტერნატივა ავღანელებისთვის, რადგან ამ ქვეყანაში ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა მრავალი ადამიანისთვის ლუკმა-პურის შოვნისთვის ერთადერთი წყაროა.**

* * *

**22 ნოემბერს, კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე შეიკრიბა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ყველა გმირი. უკრაინის დედაქა-**



**ლაქში ჩავიდა უამრავი სტუმარი — გასული დღე-ღამის განმავლობაში მარტო ყირიმიდან კიევში ჩავიდა 1300 კაცი. პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ 22 ნოემბერი გამოაცხადა უკრაინის თავისუფლების დღედ.**

* * *

**ჩინეთში პრესკონფერენციის დროს, როცა ჟურნალისტებმა ბუშს თხოვეს დაბრუნებოდა ერთ-ერთ ისეთ თემას, რომელზეც საუბარი მას აღარ სურდა, ამერიკის პრეზიდენტმა გააწყვეტინა სიტყვა პრესის მუშაკებს, მადლობა გადაუხადა ყველას პრესკონფერენციაში მონაწილეობისთვის და გასასვლელისკენ გაემართა. სამწუხაროდ, პრეზიდენტ ბუშის მიერ არჩეული გასასვლელი კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა, რის გამოც, მან ვერ შეძლო დარბაზიდან გასვლა.**

* * *

**მაიამიში სტადიონზე გამართული ავტოშოუს დროს ერთმანეთს შეეჯახა ორი ვერტმფრენი, რის**



**შედეგადაც დაიღუპა ერთი კაცი. ერთ-ერთი ვერტმფრენი ის-ის იყო აფრინდა, მეორე კი დაჯდომას აპირებდა. ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ არცთუ ისე დიდ სიმაღლეზე. ერთ-ერთმა ვერტმფრენმა შეძლო მშვიდობიანად დაჯდომა, მეორის პილოტი კი გარდაიცვალა, როცა იგი ჰოსპიტალისკენ მიჰყავდათ.**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# დაკანონებული უკანონობა

## როგორ იქცა ფირმა „საჭაშნიკე“ უსამართლობის „ჭაშნიკად“

**მართლაც, თუ როგორ იქცა ფირმა „საჭაშნიკე“ უსამართლობის „ჭაშნიკად“, ამაზე უკვე ვწერდით. ამიტომაც გამიკვირდა, როცა სარედაქციო ფოსტაში კვლავ „ამოყო თავი“ საჭაშნიკელთა საჩივარმა. როგორ კაცო, გავიკვირვე, ნუთუ ისეთ მაღალგანვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც სასამართლო რეფორმამ სულ გრიხინ-გრიხინით ჩაიარა, სამართალმა დღემდე პური ვერ ჭამა? ვერაო, იჩერებიან მომჩივანნი, ამიტომაც იძულებულნი გავხდით კიდევ ერთხელ მიგვემართა წერილით გენერალური პროკურორისა და თქვენი რედაქციისთვის, იქნებ „ვარდების რევოლუციის“ ორი წლისთავზე მაინც რამე გვეშველესო.**

რა წერია ახალი ამ საჩივარში? ახალი არაფერი, მაგრამ მკითხველმა ხომ უნდა იცოდეს, მასში რაზეა საუბარი? ამიტომ მაპატიოს თუ ძველ ამბავს მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შევახსენებ. დავიწყოთ იმით, რომ 1985 წელს თბილისში, რიყის ტერიტორიაზე, სახელმწიფო სახსრებით აშენდა საფირმო მაღაზია „საჭაშნიკე“, რომელიც გურჯაანის ღვინის ქარხნის ბალანსზე აღირიცხა. ორი წლის შემდეგ, იმის გამო, რომ რეგიონებში შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებები, საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებით (1987 წლის 26 მარტი, № 5/17-2-307 კმ) „საჭაშნიკე“ დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლებით გამოეყო გურჯაანის ღვინის ქარხანას და ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა გურჯაანის აგროსამრეწველო გაერთიანებას, კერძოდ, მის გაერთიანებაში შემავალ საკონსერვო კომბინატს.

1987 წლის 27 აპრილს „საჭაშნიკე“, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ორგანიზაცია, აღირიცხა თბილისის ისნის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში. მასზე გაიცა დამატებული ღირებულების გადასახადის სერტიფიკატი, იხდიდა საშემოსავლო, დაზღვევის და მოგების გადასახადს, რითაც საფუძველი მიეცა გურჯაანის აგროსამრეწველო გაერთიანებას, მოეხსნა პასუხისმგებლობა მაღაზია „საჭაშნიკის“ ვალდებულებებზე.

ჩვენში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას რყევების გარეშე არ ჩაუვლია. ერთ-ერთმა ასეთმა რყევამ შეიწირა აგროსამრეწველო გაერთიანებები, მათ შორის, რა თქმა უნდა, გურჯაანის გაერთიანებაც, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო საფირმო მაღაზია „საჭაშნიკე“.

და დაიბადა სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობის მაშინდელი მინისტრის წერილიც (2.10.91 № 1-1/14), რომლის საფუძველზე „საჭაშნიკე“ უკვე ნაცადი მეთოდით — ბალანსიდან ბალანსზე უნდა გადასცემოდა ფირმა „გურჯაანს“. 1991 წლის 1 ნოემბერს შედგენილი აქტის საფუძველზე „საჭაშნიკე“ მართლაც გადაეცა ფირმა „გურჯაანს“, მაგრამ ეს მოხდა კანონის უხეში დარღვევით. ამ დღეს გურჯაანის საკონსერვო კომბინატის ყოფილმა დირექტორმა ს. ტორიაშვილმა და ფირმა გურჯაანის დირექტორმა ა. კობახიძემ, თვითნებურად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გვერდის ავლით, ფარულად ურთიერთშორის დადეს ხელშეკრულება და თაღლითური გზით მოახდინეს სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვა.

ხედავთ, იყიდეს და გაყიდეს! მაგრამ საკუთარი ქონება კი არა, სახელმწიფო საკუთრება. აღნიშნული ხელშეკრულებით კომბინატი გადასცემდა, ხოლო ფირმა „გურჯაანი“ იღებდა „საჭაშნიკეს“ იმ შემთხვევაში, თუ ფირმა „გურჯაანი“ გადაუხდიდა უკვე გაუქმებულ საკონსერვო კომბინატს 570 ათას მანეთს.

როგორც ეტყობა, ეს კერძო გარიგება მაინც და მაინც ჭკუაში არ დაუჯდათ და ორი თვის შემდეგ (1992 წლის 3 იანვარი) დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საკონსერვო კომბინატი გადასცემდა, ხოლო ფირმა „გურჯაანი“ ღებულობდა არა მარტო „საჭაშნიკის“, არამედ საკონსერვო კომბინატის მთლიან ქონებას, იმ შემთხვევაში თუ ფირმა „გურჯაანი“ დაფარავდა კომბინატის მიერ აღებულ სახელმწიფო სესხებს.

კერძო გარიგების მოთხოვნები ორივე მხარემ უზადოდ შეასრულა. საკონსერვო კომბინატის დირექტორმა, რომელსაც სახელმწიფოსგან აღებული ჰქონდა 1 მილიონ 140 ათასი მანეთის სესხი, მისი დაფარვის სარფიანი გზა გამონახა — გაყიდა კომბინატი, მასთან ერთად „საჭაშნიკეც“ და ვალი ამით გაისტუმრა.

აბსურდია, მაგრამ ფაქტია — სახელმწიფო სესხი ისევ სახელმწიფო ქონებით დაიფარა. ამას დაემატა მეორე აბსურდიც — კომბინატის მთლიან ქონებას, მათ შორის „საჭაშნიკეს“, შეეცვალა საკუთრების ფორმა და იგი სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებად იქცა (?!). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გათამაშდა სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის აფიორა, რის გამოც ბიუჯეტმა სულ მცირე 207 ათასი დოლარი დაკარგა.

ფირმა „გურჯაანმა“, რომელმაც უკანონო ხელშეკრულების საფუძველზე „საჭაშნიკე“ თავის საკუთრებად აქცია, შექმნა ჯერ შპს, ხოლო 1996 წელს — სააქციო საზოგადოება, თანაც ისე, რომ „საჭაშნიკეს“ თანამშრომლები არც შპს-ს პარტნიორებად ჩათვალა და არც სააქციო საზოგადოების აქციონერებად.

როცა ეს ფაქტი ცნობილი გახდა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მაშინდელმა მინისტრმა ბრძანებით „საჭაშნიკე“ დაუქვემდებარა „სამტრესტს“, რომელსაც დაევალა ხსენებული ობიექტის ბაზაზე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, შეექმნა რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საზოგადოება, მაგრამ ამას წინ აღუდგა ზემოთ ნახსენებ დირექტორთა უკანონო გარიგებები და სამართლის დამცველთა ქმედებანი, რომელთაც ეს უკანონობა „კანონიერად“ დააკანონეს.

ასეთი „კანონიერების“ გამო საჭაშნიკელები ფრიად გაოცებული და გაკვირვებულნი დარჩნენ. კერძოდ, მათ ვერ გაუგიათ, როგორ მოახერხა, მაგალითად, საარბიტრაჟო სასამართლომ სოფლის მეურნეობის მინისტრის კანონიერი ბრძანების გაუქმება და ფირმა „გურჯაანისთვის“ რაღაც კერძო გარიგებების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მიკუთვნება; ვერ გაუგიათ, თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს პოზიცია, რომელმაც უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობის სამართლიანი პროტესტის შემდეგ, საქმე განსახილველად მიიღო, მაგრამ თავადაც საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ჩადენილი დარღვევები გაიმეორა; ვერ გაუგიათ, თვით უზენაესი სასამართლოს ამ საქმისადმი დამოკიდებულებაც, რომელმაც ჯერ გააუქმა საარბიტრაჟო სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება, ხოლო შემდეგ, როცა ისნის სასამართლომ მსგავსი განაჩენი გამოიტანა, იგი ძალაში დატოვა (?!).

მოდი და გაიგე, უზენაესი „სამართალკაზმულობა“ რომელ შემთხვევაში იყო მართალი და რომელში — მტყუანი. სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ამის გაგება საჭაშნიკელებმა დღემდე ვერ შეძლეს. მათ მიაჩნიათ (არა მარტო მიაჩნიათ, დადასტურებულია), რომ სახელმწიფო ქონების საკუთრების ფორმის შეცვლა მოხდა უკანონოდ, სასამართლო ორგანოებს, მათ შორის უზენაეს სასამართლოს „მხედველობიდან გამორჩა“ ის გარემოება, რომ საკონსერვო კომბინატი გაუქმდა 1991 წლის 31 აგვისტოს და მისი ყოფილი დირექტორი აღარ იყო უფლებამოსილი დაედო რაიმე გარიგება, მით უფრო გარიგება სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

სასამართლო ორგანოებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ბალანსიდან ბალანსზე გადაცემული სახელმწიფო ქონება ინარჩუნებს სახელმწიფო ქონების ფორმას და მისი გამოსყიდვის (პრივატიზაციის) გარეშე არ შეიძლება გახდეს კერძო საკუთრება. მათ ბევრი სხვა რამეც (აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით) „გამოეპარათ“, რამაც თაღლითები ასარგებლა, სახელმწიფო ბიუჯეტი კი აზარალა.

გაუგებარია სახელმწიფო ქონების მართვის მაშინდელი სამინისტროს (მას „საჭაშნიკეს“ მუშაკებმა საჩივრით არაერთგზის მიმართეს) პოზიციაც, რომელმაც იმ მოტივით, რომ სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა „რევიზიის“ უფლება არა ჰქონდა, გაჩუმება ამჯობინა. მას ასეთი კონტროლის უფლება მართლაც არა ჰქონდა, მაგრამ როცა სახელმწიფო ქონების მესაკუთრეს მისსავე ქონებას ვიღაც კერძო პირები ბალანსიდან ბალანსზე გადაცემისა და ყიდვა-გაყიდვის თაღლითური ხელშეკრულებების გზით უკანონოდ ართმევენ, კანონიერების აღსადგენად ხმის ამოღება ხომ მაინც შეეძლო?

მართლაც ბევრი რამ არის გაუგებარი ამ საქმიდან. უფრო სწორედ, იმ პერიოდში, როცა ეს საქმეები ხდებოდა, ისეთი ქაოსი და განუკითხაობა მეფობდა ქვეყანაში, რომ ეს გაუგებრობა ადვილად ასახსნელი იყო. მაგრამ ახლა, როცა ცხოვრების ყველა სფეროში მოხდა რევოლუციური გარდაქმნები (თუკი მართლაც მოხდა), გაუგონარ უკანონობათა მოთმენა განა კიდევ შეიძლება? ამიტომაც კიდევ ერთხელ შემოგვეხმიანნენ საჭაშნიკელები და საჩივარი გაგზავნეს გენერალურ პროკურატურაში.

როგორც მათ განმარტეს, გენერალურმა პროკურორმა საქმის გამორკვევა დაავალა ქალაქის პროკურატურას, მაგრამ ამ უკანასკნელისგან ჯერჯერობით არაფერი ისმის.

— საქმეს ვიკვლევთ, რას გვიჩვენებს, ბოლოს გამოჩნდება. ყოველ შემთხვევაში ჯერ ვერაფერს გეტყვით, — განაცხადა ჩემთან საუბარში თბილისის პროკურატურის გამომძიებელმა გიორგი ხვედელიძემ.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ სამართლის ქურუმები ახლა მაინც აღარ წააყრიან ნაცარს სიმართლეს. მით უფრო, რომ მომჩივარნი უკანონოდ მიტაცებული სახელმწიფო ქონების ისევ სახელმწიფოსთვის დაბრუნებას მოითხოვენ.

**ოთარ ხუციშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# გაეროს გენერალური მდივანი თბილისს მცირე ხნით ეწვია

(პირველი გვერდიდან)

გაეროს გენერალური მდივნის ამ ხანმოკლე ვიზიტის პროგრამაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კოფი ანანი აეროპორტიდან წაიყვანეს არა სასტუმრო „კოპალაში“, სადაც დაგეგმილი იყო მისი შეხვედრა სააკაშვილთან, ერთობლივი სადილი და განცხადებების გაკეთება პრესისთვის, არამედ ახალ, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სამთავრობო რეზიდენციაში, რომელიც საქართველოს დედაქალაქის ისტორიულ უბანში, ავლაბარში მდებარეობს. როგორც საინფორმაციო წყაროები იტყობინებოდნენ, საქართველოს პრეზიდენტი სტუმარს ელოდა რეზიდენციის უშუალო სიახლოვეს განლაგებულ შენობაში, რომელიც ჯერ კიდევ მცირე ხნის წინ ეკუთვნოდა მეწარმე ვალერი გელაშვილს, სადღეისოდ ოპოზიციის რიგებში რომ გადავიდა და გახდა რესპუბლიკური პარტიის წევრი.

სასტუმრო „კოპალაში“ სააკაშვილი და ანანი გამოჩნდნენ ოდნავ მოგვიანებით, და მაშინვე მიკროფონებთან მივიდნენ. აღნიშნა რა, რომ კოფი ანანის ვიზიტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს მნიშვნელობას გეოპოლიტიკურ რუკაზე, და რომ ეს ვიზიტი დაემთხვა „ვარდების რევოლუციის“ მეორე წლისთავს, როცა თბილისში ელიან მთელი მსოფლიოდან სხვა საპატიო სტუმრებს, სააკაშვილი მოულოდნელად შეეხო აფხაზეთში ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს, აპარტეიდის ფაქტობრივ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ძირითადად ქართველებით დასახლებულ გალის რაიონში. „არმიაში გაწვევის საბაბით, სოხუმში მიჰყავთ და სასტიკად აწამებენ ქართველ ახალგაზრდებს. რამდენიმე მათგანი გარდაიცვალა კიდეც. ყოველივე ეს ხდება მთელი მსოფლიოს, საქართველოში გაეროს მისიის წარმომადგენელთა თვალწინ. აფხაზთა მთავრობა არ თანხმდება გალის რაიონში მისიის ოფისის გახსნას, რაც, თუნდაც, ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფდა ქართველი მოსახლეობის უშიშროებას“, — თქვა სააკაშვილმა. გარდა ამისა, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ქვეყნის ხელისუფლება მხარს უჭერს აფხაზეთის პრობლემის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას, თუმცა, არასდროს შეურიგდება იმას, რაც ამჟამად ხდება კონტროლსდაუქვემდებარებელ ავტონომიაში. სააკაშვილმა მოუწოდა გაეროს გენერალურ მდივანს, გამოიჩინოს მეტი აქტიურობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. „ჩვენ მზად ვართ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელმძღვანელებს მივცეთ კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების კიდევ ერთი შანსი“, — თქვა საქართველოს ლიდერმა.

კოფი ანანმა, თავის მხრივ, გამოთქვა კმაყოფილება საქართველოში პირველი ვიზიტის გამო (თუმცა, იგი აქ უკვე იმყოფებოდა 1994 წელს, გაეროს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა მაშინდელი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი) და აღნიშნა, რომ აქტიურად ადევნებს თვალყურს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.



შეეხო რა აფხაზეთს, გაეროს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია არ დაიშურებს ძალისხმევას იმისთვის, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს და კანონის უზენაესობას. გენერალურმა მდივანმა ჟურნალისტებს ასევე აცნობა, რომ მიხეილ სააკაშვილთან ერთად განიხილა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები და იგი სასიამოვნოდ გააოცა იმ წარმატებებმა, რომლებსაც ქვეყანაში მიაღწიეს რევოლუციიდან განვლილი ორი წლის განმავლობაში. ბოლოს, კოფი ანანმა წარმატება უსურვა ქართველ ხალხს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და სტაბილურობის მიღწევაში და დასძინა, რომ საქართველოს შეიძლება ჰქონდეს გაეროს მხარდაჭერის იმედი.

გამომშვიდობებისას მიხეილ სააკაშვილმა კოფი ანანს საჩუქრად გადასცა ოქროს ვარდი — „ვარდების რევოლუციის“ სიმბოლო — და ფოტოალბომი, რომელიც ეძღვნება ორი წლის წინათ განვითარებულ მოვლენებს.

**იური სიმონიანი**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“,**
**21 ნოემბერი.**

# სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი ძმა საპყრობილედან გაიქცნენ

**სამხრეთ ოსეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი და მისი ძმა — იანი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ცხინვალის საპყრობილეში, შაბათს ღამით გაიქცნენ და ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან.**

როგორც საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, ძმებ ქარქუსოვებს არ წყალობდა თვითაღიარებული რესპუბლიკის ამჟამინდელი ხელისუფლება, რის გამოც ისინი საპყრობილეში აღმოჩნდნენ. ამასთან, ისინი ეჭვმიტანილები იყვნენ ქართულ მხარესთან კავშირში, თუმცა, სასამართლოზე წაყენებული ბრალდების ოფიციალური პუნქტი იყო იარაღის უკანონო ტარება.

ამ გაქცევის ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობა, რაც, როგორც გაირკვა, თურმე ნახევარი წლის განმავლობაში მზადდებოდა, 20 ნოემბერს იკისრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელმაც საქართველოს სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ოპერაცია „სავსებით წარმატებულად“ მიიჩნია.

„ჯემალ ქარქუსოვი და მისი ძმა ცხინვალში პოლიტიკური მოტივების გამო დააკავეს. ახლა ეს ადამიანები სამშობლოში იმყოფებიან და მათ დაკავებას არავინ აპირებს“, — განმარტა მინისტრმა, თუმცა, არ მოისურვა დაეკონკრეტებინა ძმების ადგილსამყოფელი. როგორც მან აღნიშნა, თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, როცა შეიტყო, რომ ქარქუსოვები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, უკვე სთხოვა შესაბამის უწყებას მათი დაკავება, თუმცა, უარი მიიღო.

როგორც ჯემალ და იან ქარქუსოვების ახლო ნათესავმა, საქართველოში ოსთა საზოგადოების „ვსმარონის“ („ძმობა“) თავმჯდომარემ ვაჟა ქარქუსაშვილმა თქვა, ამ ბოლო ხანებში ცხინვალის ხელისუფლება სულ უფრო აძლიერებს ანტიქართულ პოზიციას, რაც, კერძოდ, გამოიხატება იმით, რომ სდევნიან ქართველებისადმი ლოიალურად განწყობილ ოსებს. თვითაღიარებული რესპუბლიკის ყოფილი უშიშროების საბჭოს მდივანი ჯემალ ქარქუსოვი ერთ-ერთი ასეთი ადამიანი აღმოჩნდა. მდივნის პოსტი მან დატოვა გასული წლის ზაფხულში იმის გამო პროტესტის ნიშნად, რომ ცხინვალში არ შეუშვეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი. ჯემალ ქარქუსოვის აზრით, ეს იყო ოსური მხარის მიერ გადადგმული სამარცხვინო ნაბიჯი, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს კავკასიურ ტრადიციებს. გარდა ამისა, ქარქუსოვმა ცხინვალში დააარსა „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საზოგადოებრივი კომიტეტი“ — არასამთავრობო ორგანიზაცია, რამაც თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან უკიდურესად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. „ცხინვალის ხელისუფლება არ ითვალისწინებს საქართველოში დარჩენილი ოსების ინტერესებს და ამიტომაც რეალურად უშლის ხელს ორ მოძმე ხალხებს — ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის მოწესრიგებას“, — დარწმუნებულია ვაჟა ქარქუსაშვილი. იწონებს რა მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას სამხრეთ ოსეთისთვის ფართო ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესახებ, პოლიტიკოსი მაინც გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ კონფლიქტის მოწესრიგებაში არ ჩაბმულან საქართველოში მცხოვრები ოსები. მისი აზრით, სწორედ ქართულ-ოსური შეტაკებების დროს, ყველაზე მეტად დაზარალებულ ადამიანებს შეუძლიათ შეასრულონ მთავარი როლი მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენაში. ვაჟა ქარქუსაშვილმა განაცხადა, რომ იგი მზად არის დაუდგეს გვერდით ჯემალ ქარქუსოვს და ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მას ქართველების და ოსების შერიგების საქმეში.

ცხინვალის სამართალდამცავ ორგანოებში უარი განაცხადეს რაიმე კომენტარის გაკეთებაზე. ძმების საპყრობილიდან გაქცევის შესახებ მათ მხოლოდ ის თქვეს, რომ განხორციელდება გამოძიება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი მომხდარი ამბის დაწვრილებით დეტალებზე.

**ალბერტ ერემიანი**
**„გაზეტა“ (რუსეთი), 21 ნოემბერი.**

**კონკურსი**

# სახელიანი „უფლისციხელები“



## ფიქრია ყუშიტაშვილი – „PENმარათონი“ – 2005 გამარჯვებული



**თოთხმეტი წლის ბიჭი, 70 წლის მამაკაცი, პენსიონერი მეთევზე, უცხოელი — ბერძენი, 41 წლის მამაკაცი, ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენელი, 55 წლის ქალი, მინისტრის დედა — აი ის ოთხი აუცილებელი პერსონაჟი, რომლის მიხედვითაც ლიტერატურული კონკურსის „PENმარათონი“-2005-ის მონაწილეებს ქართულ ენაზე ერთი ორიგინალური პროზაული ნაწარმოები უნდა შეექმნათ.**

მონაწილეობის მსურველნი მრავლად აღმოჩნდნენ. თავდაპირველად კონკურსში მონაწილეობის განაცხადი 198 ადამიანმა წარმოადგინა, მათგან 103 ქალი იყო და 95 მამაკაცი. კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე 16 წლის იყო, ყველაზე ხანდაზმული კი 78 წლისა.

პაექრობის პირველ ეტაპზე (3-14 ოქტომბერი) კონკურსანტებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მასალა, რომელიც ჟიურიმ დახურული წესით განიხილა და გამოავლინა 21 ფინალისტი: ნიკუშა ანთაძე, ლედი ანთიძე, ანდრო ბუაჩიძე, რამაზ გიგაური, ჭაბუკა დეისაძე, შოთა იათაშვილი, ბაჩო კვირტია, ბექა კოკაია, გურამ ლემონჯავა, ზურაბ ლეჟავა, გიგა ნასარიძე, მარიანა ნანობაშვილი, ნინო სადღობელაშვილი, ბესო სოლომონაშვილი, ფიქრია ყუშიტაშვილი, ეკა ფხალაძე, გრიგოლ ქიქოძე, ვანო შატბერაშვილი, გივი ჩიღვინაძე, გელა ჩქვანავა, ნინო წიკლაური. სპეციალური მოწვევით მარათონში მონაწილეობდნენ შარშანდელი I და III პრემიის ლაურეატები პაატა ბერიკაშვილი და ბესო ხვედელიძე.

კონკურსის ორგანიზატორმა, გამომცემლობა „დიოგენემ“, რომელმაც წლეულს ამ ორიგინალური ფორმატის რიგით მეოთხე ლიტერატურული კონკურსი გამართა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ფინალისტებს შემოქმედებითი მუშაობისათვის მშვენიერი გარემო შეუქმნა და 30 საათით ქართლში, უფლისციხის ქვაბულებში დაასახლა (შეგახსენებთ, რომ წინა მარათონები გაიმართა თბილისში — კლუბ „კოტენში“, ფოთში — გემ „კაპიტან თავართქილაძეზე“ და აჭარაში, გონიოს ციხეში).

უფლისციხეში 20-21 ოქტომბერს დაწერილი საკონკურსო მოთხრობებიდან ჟიურიმ ათი საუკეთესო შეარჩია და კრებულად გამოსცა. სწორედ ამ ათიდან ჟიურის დახურული წესით უნდა გამოევლინებინა სამი ლაურეატი. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე, მალხაზ ხარბედია, დავით ჯავახიშვილი და კოტე ჯანდიერი. ახლახან კინოთეატრ „ამირანში“ დასახელდნენ გამარჯვებულები. დაჯილდოების ცერემონიალთან ერთად აქვე გაიმართა ლიტერატურული კრებულის „PENმარათონი — 2005“-ის წარდგინება.

„დიოგენეს“ დირექტორმა თამარ ლებანიძემ პირველი პრემია მიულოცა და პრიზი „ვერცხლის დიოგენე“ 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტთან ერთად გადასცა **ფიქრია ყუშიტაშვილს.** მეორე პრემიის (600 აშშ დოლარის ეკვივალენტი) მფლობელი გახდა **ანდრო ბუაჩიძე,** მოთხრობისათვის „რიტუალი“. მესამე პრემია (400 აშშ დოლარის ეკვივალენტი,) გადაეცა **ვანო შატბერაშვილს** მოთხრობისთვის „BACK in USSR“.

ფიქრია ყუშიტაშვილმა თავისი პროზაული ნაწარმოების „ავტორთა მაძიებელი ოთხი პერსონაჟი, ანუ მინისტრის დედა“ გმირები კახეთის ერთ-ერთ სოფელში დაასახლა და ლაღი ენითა და მსუბუქი იუმორით გვიამბო მათ თავგადასავალზე. მასვე კომპანია „ქართული შაქრისგან“, როგორც პირველი პრემიის მფლობელს, სპეციალური პრიზიც ერგო — პროზაული კრებულის გამოცემა.

წლევანდელი მარათონის გენერალური სპონსორი და მასპინძელი იყო სააქციო საზოგადოება „ქართული შაქარი“, სპონსორები — „ცენტრ პოინტი“ და „ავერსი“. პრემიები დააწესეს კონკურსის თანაორგანიზატორმა ღვინო „ძველმა თბილისმა“ და კომპანია „ჯორჯია ონლაინმა“.

ამრიგად, უფლისციხის რომანტიკულ გარემოში მყოფ პროზაიკოსთა წარმატება და წარუმატებლობაც უკვე ცნობილი გახდა. გურამ რჩეულიშვილის ცნობილი მოთხრობის ასოციაციით წარმატებულნი სახელიანი „უფლისციხელები“ გახდნენ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**საფიქრალი**

# „რომ ჩამოვიდე, ოთხ ოჯახს ვინღა შემინახავს!“

**თეონა შეძლებულ ოჯახში გაიზარდა. მას და ერთადერთ ძმას მშობლები არაფერს აკლებდნენ. უმაღლესიც დაამთავრებინეს და არც აგარაკები დაუკლიათ. მამამისი კომუნისტების დროს შემოსავლიან ადგილას მუშაობდა და ფულს არც ახლობლებისთვის ინანებდა. მეორე კურსზე იყო თეონა, თავის თანაკლასელ ბადრის რომ ცოლად გაჰყვა. დიდი ქორწილიც გადაუხადეს.**

**ახალგაზრდებს მალე ქალიშვილი შეეძინათ. სამი წლის შემდეგ — ბიჭიც. ბადრი სპორტსმენი იყო და შეჯიბრებებზე ზოგჯერ საზღვარგარეთ სიარული უწევდა.**

**მერე საქართველოში არეულობაც დაიწყო. სამაჩაბლოსა და თბილისის ომებს აფხაზეთიც დაერთო. ქვეყანას გაუჭირდა. ხალხმა სამსახური დაკარგა. მათ შორის — თეონას მამამაც.**

ბადრიმ საზღვარგარეთ სიარულს მოუხშირა. მის მშობლებსაც არ ჰქონდათ საშუალება, რომ ახალგაზრდა ოჯახს დახმარებოდნენ. სიძის არყოფნის პერიოდში თეონას მშობლები თავიანთი ოჯახის ლუკმას ქალიშვილსა და შვილიშვილებს უყოფდნენ. არადა, შინ მათაც რძალი და შვილიშვილები ჰყავდათ სარჩენი.

თანდათან, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო თვალშისაცემი გახდა ბადრის საზღვარგარეთული ვოიაჟები. სულ რაღაცებს იმიზეზებდა, მანქანა უნდა ჩამოვიყვანოო, — ამბობდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ ცოლქმარი 5-6 თვე ერთმანეთს ვეღარც ხედავდნენ.

თეონა ამას ძალიან განიცდიდა. ტელეფონის ზარის ხმაზე აპარატს სულმოუთქმელად მივარდებოდა ხოლმე, იქნებ ბადრი რეკავსო. მისმა მშობლებმა კი იცოდნენ, რომ ბადრის ვიღაც ქალი ჰყავდა აკიდებული, მაგრამ ქალიშვილი ეცოდებოდათ და ვერც კი უმხელდნენ.

ამასობაში „იმ ქალმა“ ისიც გაბედა, რომ თეონას შინ დაურეკა და ამცნო, მე და ბადრის ერთმანეთი გვიყვარს და ვერავინ დაგვაშორებს, ის განა მართლა უცხოეთშია წასული, ჩემთან ცხოვრობსო.

ეს დიდი ელდა იყო ორი შვილის დედისთვის, მას ხომ ასე ძალიან უყვარდა ქმარი. შეჩოჩქოლდა მთელი სანათესაო. საქმეში ჩაერივნენ ბადრის მშობლები. მათ უყოყმანოდ დაიჭირეს რძლის მხარე. ახალ „პატარძალს“ მიუვარდნენ და შეაჩვენეს. დასავლეთიდან ყოფილა, ერთ-ერთი პატარა ქალაქიდან. სალებავებით გათხუპნული. ჯინსებში გამოკვართული. თურმე, ბადრი რომ მანქანას ჩამოიყვანდა, ის ზღვისპირეთში ასაღებდა, ფოთში ან ბათუმში. ისე ჰყავდა ბიჭი გამოჭერილი, რომ კაპიკსაც აღარ ატანდა ცოლ-შვილთან, აღარც თბილისში უშვებდა. რომ დარეკა, ბადრი ჩემთან არისო, მართალი იყო, რადგან იმ გაჭირვებაში მას და მის დაქალებს არც რესტორანი აკლდათ, არც ჩაცმადახურვა და არც ფული...

თეონა გაამწარა ქმრის საქციელმა. აღარასდროს შევურიგდებიო, — ამბობდა. მშობლებმა იმდენი ქნეს, რომ ბადრის ის ქალი ჩამოაშორეს, მაგრამ თეონას შერიგებაზე ვერ ითანხმებდნენ.

მშობლების გავლენით თუ საკუთარი დანაშაულის შეგრძნებით, ერთ დღესაც ბადრიმ თავისი სახლის კარზე მორიდებით დააკაკუნა. კარი უკვე წამოჩიტულმა გოგონამ გაუღო. ბავშვები ჭკუაზე არ იყვნენ სიხარულისგან, მაგრამ დედის რიდის გამო გრძნობას ვერ გამოხატავდნენ. თეოს მოტეხილი და მოუვლელი ეჩვენა ქმარი. ზედ არ შეხედა. უკან გაიძურწა კაცი. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს მაინც შერიგდნენ.

თეონა თითქოს საკუთარ გრძნობებში ვერ ერკვეოდა: ისევ უყვარდა თუ არა ბადრი. მაგრამ ისეთი დრო იყო, პირად გრძნობაზე უფრო შვილების გადარჩენა-დაპურებაზე უნდა ეფიქრა. ამასობაში, ბელგიიდან ნაცნობი მსაჯები ურეკავდნენ ბადრის და იქ, ტურნირში მონაწილეობას სთავაზობდნენ. ისე ეშინოდა კაცს სახლში უცხოეთის ხსენების, რომ წასვლას კი არა, ამ თემაზე ლაპარაკსაც ველარ ბედავდა. რადგან გრძნობდა, რამდენი უსიამოვნება და ტკივილი მიაყენა თავისი დარდიმანდობით ერთ დროს საყვარელ ქალს. ცდილობდა, რამენაირად გამოესყიდა ეს შეცდომა. თანაც, აღარც სიდედრ-სიმამრთან, აღარც თავის მშობლებთან აღარ ჰქონდა თავი გამოსაჩენი. არადა, თვითონაც ხელში აღარაფერი ებადა.

ერთ დღესაც, ისე, რომ არც ელოდა, თეომ შესთავაზა, მოდი, ჩვენი თბილისის ბინა გავყიდოთ. წადი შენ ბელგიაში, გზის ფული საფიქრალი აღარ გექნება. მერე კი მე და ბავშვებსაც ვიზები გამოგვიგზავნე, რომ ჩამოვიდეთო.

მართლაც, გარისკეს და ბინა გაყიდეს. ამაზე სულ გადაირივნენ მშობლები, რას აკეთებთ, ხალხი იქ იმიტომ მიდის, რომ აქ რაიმე იშოვოს და თქვენ ბინას როგორ ყიდითო?

ეს ფული კი მხოლოდ იმდენი იყო, გზის ხარჯებს რომ დაფარავდა.

მართლაც, ჩააღწიეს ბელგიამდე. ქმარმა იმდენი მოახერხა, რომ მალევე იშოვა თავშესაფარი, შემდეგ კი, ნაცნობების დახმარებით უკეთეს ბინაში გადავიდნენ. ბადრიმ სამუშაოც იშოვა და ოჯახმაც როგორც იქნა, ამოისუნთქა.

— ბავშვები სკოლაში მივიყვანე. კარგად იციან გერმანული, ინგლისური ენები, — მიყვება თეო, — თავი ადამიანად ვიგრძენი. რაც მანდ მაკლდა, აქ ყველაფერი მაქვს. ბადრი ძალზე მზრუნველი და მოსიყვარულე გახდა. ხანდახან მიკვირს კიდეც, რამ გადაადგმევინა ის მცდარი ნაბიჯი, როგორ მატკინა გული. ალბათ, ბავშვების გამო უფრო ვაპატიე. აქ ცხოვრება არ არის იოლი. ხან ნამცხვრებს ვაცხობ და ვყიდი, ხან კაფეში ჭურჭელსაც ვრეცხავ, მარწყვიც კი დამიკრეფია: აქ ცხოვრების სხვა წესებია. ბელგიელებს ღამის 10 საათის შემდეგ ველარც დაელაპარაკები, ისვენებენ, ვერც მუსიკას ჩართავ და ვერც იხმაურებ. აწყობილი ქვეყანაა. ნეტავ მალე დალაგდეს საქართველოში ყველაფერი. შეიქმნას სამუშაო ადგილები... იცი, უკვე 10 წელიწადია აქა ვარ და ველარ ვძლებ. არავის ეგონოს, რომ აქაურობას მივეჩვიე. ისეთი ნოსტალგია მაქვს, ზოგჯერ ღამღამობით ვტირი-ხოლმე.

ყველას ჩვენ-ჩვენი მანქანა გვყავს! არც საჭმლის, არც ჩასაცმლის პრობლემა არა გვაქვს, მაგრამ თბილისში ერთი, რუსთაველზე გავლა და ჩემი მეზობლების გულიანი „გამარჯობა“ მთელ ქვეყნიერებას მირჩევნია. ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს ცაზე ლამაზი ცა ან მთებია სადმე, აქ, რაც უნდა კარგად ცხოვრობდე, ბედნიერად მაინც ვერ იგრძნობ თავს, რადგან ფესვებს ხარ თითქოს მოწყვეტილი.

ანა უკვე 19 წლისაა. ისეთი გოგო დადგა, თვალს ვერ მოწყვეტ, ჭკვიანი, ლამაზი, განათლებული. ერთ ფრანგ ბიჭს მოსწონს, კიდევ — ბერძენსაც. არ მინდა უცხოელზე გავათხოვო. არადა, მეშინია, ისეთ ასაკშია, არავის გადაეყაროს თავისი ახალგაზრდობით. ამიტომ უმცროსი ძმა, ლევანი სულ კუდში დასდევს...

ნაღვლიანი ხმა აქვს თეოს. ჩამოსვლა როგორ არ უნდა, მაგრამ... — სად ჩამოვიდეო, — ამბობს — მართლა, ფული გამოვგზავნე და მანდ ბინა უკვე შემიძინეს ჩემებმა, მაგრამ ჩვენ ხომ აქედან ოთხ ოჯახს ვინახავთ? ჩემს მშობლებს, ძმის ოჯახს, ბადრის მშობლებს და მის დასაც ვეხმარებით. მანდ ხომ სამსახური არ გვექნება და იმის შიშიც მაქვს, მოხუცი მშობლები რითი ვარჩინო...

თეო ხშირად რეკავს თბილისში. რაღაც საჩუქრებს სულ უგზავნის ახლობლებს; ზოგჯერ ფულსაც.

მომისმინე, — მირეკავს იმ დღეს, — დედაჩემმა არ გაიგოს, ჩვენებური „კორვალოლი“ და გულის წამლები მიყიდე და ნაცნობს გამოატანე. აქ ყველაფერს სხვა გემო აქვს ჩემთვის. წამალსაც. ჩვენი, ქართული ეტიკეტის შეხედვაც კი გუნებას მისწორებს და წამალი ხომ მრგებს და მრგებს. თანაც, საშინლად გავსუქდი და დიეტაზე გადასვლას ვაპირებ. ჰო, ახლა გორის ვაშლი და ჩვენი მჟავე ფორთოხალი მომცა... მართლა, ამ თვის ბოლოს იქნებ სულაც წამოვიდეთ, ეგრე ვაპირებთ.

მაგრამ თეონა წლეულსაც ჩამოვა თუ არა, ისევ საეჭვოა. ის ხომ ყოველ შემოდგომაზე აპირებს ხოლმე ჩამოსვლას, აგერ, უკვე მეათე წელიწადია!..

**ლია ჭიღლაძე**

**გამოიწერეთ**

**სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»**

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40), „მაცნეს“ (37.40.49), „უწყებანს“ (93.64.72), „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73), „ინფოსერვისს“ (34.09.35), „ელვა-სერვისს“ (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.



ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**

სს „საქჰიდროენერგომშენი“ შეისყიდის შემდეგი დასახელების მასალას (პროდუქციას) ლითონის მილები **D89:100 მმ** კუთხოვანა (სხვადასხვა პროფილის), ფურცლოვანი ლითონი სხვადასხვა სისქის. მიწოდების ადგილი წალენჯიხის რაიონი, დასახლება ფოცხო-ეწერი (ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი). ზემოთ აღნიშნული მასალა მიწოდებული უნდა იყოს შემდეგ ვადაში. შესაძლებელია ცალკეულ პარტიებად 2005 წლის 5 დეკემბრამდე.

დაინტერესებულ პირებს შესაბამისი კომერციული წინადადებით გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი. ჭავჭავაძის გამზ. № 50, საკონტაქტო ტელეფონი 25-09-59, საკონტაქტო პირი თემურ კორძაძე 899 73-47-12, რამაზ ჭადაშვილი.**

## სამშაბათი, 22

**08.00** მხ. ფილმი "**სპორტლოტო-82**" **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "**ანასტასია**" **11.00** დოკ. ფილმი "დღე, როცა ფიქრი ვისწავლეთ" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "**მიწისქვრა ნიუ–იორკში**" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმეზას კოვბოები" **16.15** სერ. "**მძიმე პერიოდი**" **17.00** სერიალი "**ადვოკატები**" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფილმი "სატურნი - ბეჭდების მბრძანებელი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "**ანასტასია**" **22.00** სერიალი "**ადვოკატები**" **23.00** მხ. ფილმი "**ძილი ეშმაკთან**" (U) **00.30** საინფ. გამოშვება

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** პროფესიონალი **20.05** კინოსეანსი "**მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ**"

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი "**ოცნების კოშკები**" **11.00** სერიალი "**იდუმალი ტბა**" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **13.30** "ჯეობარი" **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.15** სერ. "**მეამბოხე სული**" **17.05** სერ. "**მეამბოხე სული**" **18.30** პატრული **19.30** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **22.00** "ჯეობარი" **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. მანჩესტერი-ვილიარეალი. **02.20** პატრული

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **11.15** სერ. "**საბრალო ნასტია**" **12.25, 13.15, 16.15, 17.10, 03.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25 ტვ**-მარკეტი **13.40** ნ. ქავთარაძის შოუ **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "**მოჯადოება**" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** "ნაცნობი საქართველო" **18.05** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **19.05** სერიალი "**მოჯადოება**" **20.55** სერ. "**საბრალო ნასტია**" **21.55** "პირველები" **23.30** მხ. ფილმი "**ოქროს თასი**" (U) (კ. ბეკინსეილი) **02.15** სერიალი "**დრონგო**"

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერ. "**ქვეყნის კიდეზე**" **09.45** საფეხბურთო მიმოხილვა **10.30** მხ. ფილმი "**ამბავი საბრალო შეყვარებულებისა**" **12.20** "რუსთა ველი" - კ. რაიკინი **13.00** ფეხბურთი. **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **14.50** სერ."**დიელი და პასკო**" **15.40** სერიალი "**კარაბინერები**" **16.40** ფეხბურთი. **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.10** სერ. "**ქვეყნის კიდეზე**" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "**კარაბინერები**" **21.45** კრიმ. სერიალი "CSI" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "**ნამდვილი სიყვარული**" (U) (ჰიუ გრანტი) **00.00** საფეხბურთო მიმოხილვა - ესპანეთი **01.00** მხ. ფილმი "**აფიორა**" (15) (დ. ჰოფმანი)

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 17.20, 22.00** Style-TV **15.45** "ბიზნესი და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "**რობოკოპი-4**" (U) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.40** მხ. ფილმი "**უდაბნოს ცხელი მზე**" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.30** დოკ. ფილმი **11.30** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **11.45** ისტორიული ფილმი "**ომის მბრძანებელი**" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "**პირველი ხარისხის მკვლელობა**" **16.15** მულტსერიალი **17.50** "პროექცია" **18.05** მუსიკა **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **20.00**"შესანიშნავი შვიდეული" **21.30** "გადარჩენილი სიტყვა" **22.00** კომედია "**რა სურთ ქალებს**"

◎ პოეტის რეცენზია

# დონ კიხოტი და გზა მართალთა...

## პირველი შთაბეჭდილებები გიგა ლორთქიფანიძის მიერ ახმეტელის თეატრში ბრწყინვალედ დადგმული სპექტაკლის გამო

**ჩემს საწერ მაგიდასთან ვზივარ, მინდა რამე დავწერო და მუზის მაგიერ ვიღაც ყურში ჩამჩურჩულებს, — „მწუხარებას გაყოლილი სიხარული უკან აღარ ბრუნდებაო“. იმ ვიღაცას, ჩემთვის, გულისგულში ვპასუხობ, — ნეტაი შენ, მოგცლია რა...**

**მერე ისევ მუზას ველოდები და ისევ ის ვიღაც ყურში ჩამჩურჩულებს, — „ჰეი, რაინდო, გაიგე, ხმლით საკუთარ სამშობლოს დაიცავ, მაგრამ ხმლით სხვის სამშობლოს ვერ დაიპყრობ...“ მე ისევ იმ ვიღაცას, ჩემთვის, გულისგულში ვპასუხობ, — ნეტაი შენ, მოგცლია რა...**

— ბიჭოს, ეს ვინ შემიჩნდა, რა ჯანდაბა უნდა? — ვთქვი და იმ წუთშივე მიპასუხა — „უკვე გვიანაა, ველარ განიწმინდები, ადრე უნდა გეფიქრაო“. მთლად ავირიე, ვერც ჩემს საქმეს მივხედე და ვერც იმ ვიღაცას, მუზის როლში რომ მეწვია და ველარა მტოვებს. იქნებ, მართლა ეგრეა, რო ყველას თავისი სიცოცხლის წიგნი აქვს, ზოგი ეშმაკის დაწერილია, ზოგი კიდევ — უფლისა. ვდგევარ ჩემთვის, მარტო ვარ, თუმცა ის ვილაცაც ჩემთანაა, ნეტა ვინ ოხერია, რა უნდა ჩემგან, რა ვქნა, ბრძოლა გამოვუცხადო? რა, ბოროტმოქმედია? „ჰო, ჰო, ბოროტმოქმედი ვარ, მაგრამ კარგად გახსოვდეს, როცა ბოროტმოქმედის წინააღმდეგ იბრძვი, კარგად დაფიქრდი, უარესი ბოროტება არ ჩაიდინო“, — ახლა უკვე ხმამაღლა მითხრა, მერე, არ ვიცი რა მოხდა, ალბათ შევეცოდე, იქნებ, საკუთარი თავი შეეცოდა, არ ვიცი, ის ვიცი, რომ გამეცალა, მარტო დამტოვა...

მთელი ღამე არ მძინებია, ვერაფერი გავიგე, რა იყო, რა მოხდა, რა გამოცხადება, რა ნათელხილვა? მეორე დღეს, საღამოს ექვსი საათისთვის, ვეახლე თეატრს, ამ ბოლო დროს, ასეთ საზოგადოებას სამწუხაროდ, პანაშვიდებზე თუ შევხვედრივარ...

დაიწყო წარმოდგენა, ცრემლიც ხომ მუზასავითაა, თავისთავად არ მოდის. ღმერთმანი, გაოცებული ვარ, ერთი კი გავიფიქრე, ეს კაცი სიბერეშიც აგიჟებს მაყურებელს თუ რა ხდება-მეთქი. „დათა თუთაშხიას“ მერე კი არ ჩაცხრა, უფრო აინთო, უფრო აზრიალდა. საოცარი საღამო აჩუქა გიგა ლორთქიფანიძემ ჩემს თბილისსა და, რაღა თქმა უნდა, მთელ საქართველოს.

არც კი ვიცი, რომელი ერთი ვაღიარო, „მწუხარე სახის რაინდი“ თუ დულცინეა.

არა, არა, ყველა საოცარი იყო, ყველა უნიჭიერესი, ყველა დიდი რეჟისორის ხმას აყოლილი.

ერთ საოცრებასაც გეტყვით, გამაოცა დულცინეას როლის შემსრულებელმა, სულაც იმიტომ, რომ არასდროს მენახა მთავარ როლში.

დავიწყე ამ მშვენიერი, თამამი და ნიჭიერი ახალგაზრდა ქალის ქება, — დედა, ეს რა ვნახე, დედა, ეს ვინ ყოფილა-მეთქი. მერე ჩემს გვერდში მჯდომ ორ მოზარდ გოგონას გადავულაპარაკე, — ბედნიერი ვარ, რომ აქა ვარ, ვუმზერ ამ დიდებულ წარმოდგენას-მეთქი. მერე ისევ დულცინეას ქება დავიწყე.



თვალებანთებულმა პატარა გოგონამ, მადლობა გადამიხადა და გამომიტყდა, — „ეგ მსახიობი, მაია ზედგენიძე დედაჩემიაო“.

მოკლედ, იმ დღეს გუშინდელივით საოცრებებში და ნათელხილვებში ვიჯექი.

დამთავრდა წარმოდგენა, მაშ, ვინ იყო „მწუხარე სახის რაინდი“, ვინ იყო ნუგზარ ყურაშვილი?

ვინ და, ციდან მოვლენილი აურზაური, შერეკილი ბრწყინვალება და ანთებული უკუნი. ვინ იყო სანჩო — კახი გოგიძე? — ვინ და, მოვლენა, რომელიც მომავლის რწმენით იხედება.

ჩემთვის კი ვფიქრობდი, ვინ იყო, — მუზა? წყვდიადიდან მოსული ეშმა, თუ დონ კიხოტი? ნეტა მართლა რომელი იყო?..

არადა, გეტყვით ვინც იყო, საღამოს გიგამ დამირეკა, გიგა ლორთქიფანიძემ, ჩემმა მეგობარმა და ღირსეულმა ქართველმა, ულალატო კაცმა და ჭეშმარიტად დიდმა შემოქმედმა. კი, ნამდვილად ის მელაპარაკებოდა, ყველას მაგივრად ის მელაპარაკებოდა...

მომეფერა, — რას შვები, ჯანსულ, ხომ უძლებ ამდენ უბედურებასო, გუშინ გავიგე, ბიჭებთან გერმანული ლუდი მიგირთმევია, მაგარ ხინკლებთან და ქაბაბთან ერთად, ერთი ფაქტია, გერმანული ლუდით რო ცუდი კაცის სადღეგრძელოს არ იტყოდი, ორი აზრი არ არსებობსო... ბოლოს დასძინა, — ხვალ მოიცალე და მთელ ოჯახთან ერთად მოდი გლდანში — ახმეტელის თეატრში, მოდი და ნახე ჩემი „დონ კიხოტი“, მოდი, ძალიან გამახარებო... მართლა ყველაფერი დამთხვევაა, ამ ორი-სამი საათის წინათ რომ ვილაც მელაპარაკებოდა, ის რა, გიგა არ იყო?

ტაშსაც ვერ ვუკრავ, და მახსენდება ფსალმუნიდან — „ხოლო მე მუდამ შენთან ვარ, ხელთ გიპყრია მარჯვენა ჩემი“.

დიახ, ძმაო გიგა, შენ გაიმარჯვე, ჩვენ გავიმარჯვეთ, მთელმა საქართველომ გაიმარჯვა, „რადგან უფალმა უწყის მართალთა გზა, ულმრთოთა გზა კი წარიხვეტება“.

ბედნიერი ვარ... დიდი მადლობა ყველას, დღეს ამ თეატრში ყველა პირველია.

**ჯანსულ ჩარკვიანი**

◎ ინფორმაცია

## ელექტროენერგიის დამტაცებლები ამხილეს

**კომპანია „თელასმა“ ჩუღურეთის რაიონში, ვარციხის ქუჩა №16-ში მცხოვრები მომხმარებლები ელექტროენერგიის დატაცებაში ამხილა. კომპანიის თანამშრომლები ტექნიკურ სპეციალისტებთან ერთად ვარციხის ქუჩა №16-ში მივიდნენ და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზიდან გაყვანილი არალეგალური სადენები ჩაჭრეს.**

როგორც ინტერპრესნიუსს „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ვალერი ფანცულაიამ აცნობა, ვარციხის ქუჩა №16-ში მცხოვრებ 18 ოჯახს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე თითოეულს 600-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. ამასთან, ელექტროენერგიის დატაცებაში მხილებული მომხმარებლები ორი თვის განმავლობაში დატაცებული ელექტროენერგიის საფასურს „თელასს“ გადაუხდიან.

ფანცულაიას განცხადებით, „თელასი“ ელექტროენერგიის უკანონოდ მოხმარების ფაქტების გამოვლენისთვის ღონისძიებებს კვლავაც გააგრძელებს და ყველა იმ მომხმარებელს დასჯის, რომელიც ელექტროენერგიას არალეგალური სადენების მეშვეობით მოიხმარს, ან მრიცხველის საშუალებით იპარავს.

**განცხადება**

**გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „მშრალი ყინულის“ ლიკვიდაცია. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ საზოგადოების ლიკვიდატორად დანიშნულია თემურ ტეფნაძე.**

**დაინტერესებულ პირებს, რომელთაც აღნიშნული საწარმოს მიმართ გააჩნიათ გარკვეული პრეტენზიები, ვთხოვთ მიმართონ საზოგადოების ლიკვიდატორს შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. 2. (ტელ.: 877710880).**

**ლიკვიდატორი თ. ტეფნაძე**

◎ ფეხბურთი



# შაბათის ვნებანი

**19 ნოემბერს ფეხბურთელთა XVII ეროვნული ჩემპიონატის I წრის ბოლოსწინა — XIV ტურის შეხვედრები გაიმართა, თუმცა ვიდრე მათზე გადავიდოდეთ, იმავე დღეს მომხდარ გაცილებით მნიშვნელოვან ფაქტზე მოგახსენებთ.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოწვეულ პრესკონფერენციაზე სფფ პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ წინა დღით ოფიციალური სტრუქტურების (კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი) მესვეურებთან მოწყობილი შეხვედრის პერიპეტიები გაგვაცნეს, საიდანაც გაცხადდა, რომ ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ახალი მწვრთნელი მოამზადებს. იგი უცხოელი იქნება და მომავალი კონტრაქტის პირობების შესრულებაში (აქ, რასაკვირველია, ფინანსები იგულისხმება), სახელმწიფო დაგვეხმარება — განაცხადეს ორატორებმა. მათ არც ის დაუმალავთ, რომ უკვე შერჩეული ჰყავთ ამჟამად უმუშევარი 15 პროფესიონალი სპეციალისტის კანდიდატურა და მათ აგენტებთან მოლაპარაკებები მალე დაიწყება, თუმცა ისიც დასძინეს, რომ მაშინ, როცა ქართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურა გაპარტახებულია და „ჯვაროსნებს“ საკუთარი ნორმალური სავარჯიშო მინდორი არ გააჩნიათ, კაპელოს ან ლიპის დონის მწვრთნელის ჩამოყვანის ილუზია არ უნდა ვიქონიოთ. ამავე დროს, არც შუშაკის კალიბრის დამრიგებელი დაგვაკმაყოფილებს — დააკონკრეტეს სათქმელი მასპინძლებმა.

— რაც შეეხება გაიოზ დარსაძეს, იგი სფფ აღმასკომის დანიშნულია და მანვე უნდა გაათავისუფლოს პოსტიდან. ბატონი გაიოზის დამსახურებაა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში მოასწრო დიდი ჭაობის დაშრობა და გუნდი გუნდს დაამსგავსა, ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია ის ობსტრუქცია, რომელიც, მადლობის ნაცვლად, იორდანიასთან მატჩის დროს ტრიბუნებმა მოუწყვეს და ფსიქოლოგიურად დათრგუნეს. გპირდებით — დარსაძის დაწყებულ საქმეს მისი მემკვიდრე აუცილებლად გააგრძელებს. სხვათა შორის, ჩვენს მიერ აღებულ გეზს ოფიციოზიც იწონებს, ამიტომაც მას არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევთ — ესეც ახალკაც-ქავთარაძის დუეტის სიტყვები გახლავთ.

ვინაიდან განვლილ კვირაში ჩვენი პოზიცია პირუთვნელად შემოგთავაზეთ, ამჯერად კომენტარისაგან თავს შევიკავებთ, თუმცა ერთს კი დევძენთ: არანაირი რევოლუცია, მით უმეტეს ხავერდოვანი, მოგეხსენებათ, უსაფუძვლოდ არ ხდება. ასე რომ...

* * *

**ეროვნული ჩემპიონატის ფინიშზე ბრძოლები გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. ამას შაბათს გამართულ შეხვედრებში დაფიქსირებული შედეგებიც მოწმობს, როცა მაქსიმალურ-ორბურთიან უპირატესობას მხოლოდ გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა „ვიტ ჯორჯიამ“ მიაღწია. ვეტერინარებმა გორში „დილას“ სძლიეს — 3:1. მატჩის გმირმა ოთარ მარცვალაძემ ამჯერად „დუბლი“ შეასრულა. იგი ბომბარდირთა დავაშიც ინარჩუნებს წამყვან პოზიციას — 14 გოლი.**

კიდევ უფრო მეტი ემოციები იფრქვეოდა გლდანში, სადაც „ამერი“ ბოლნისის „სიონს“ მასპინძლობდა. სტუმართა დისკვალიფიცირებული მეკარის ბობლიაშვილის შემცვლელს გავაშელს დიდი ჯაფა დაადგა (განსაკუთრებით I ტაიმში), მაგრამ პარტნიორთა შემწეობითა და მეტოქის სნაიპერის დავითაშვილის „ხელშეწყობით“ (მან ხელსაყრელი პოზიციებიდან რამდენჯერმე ააცილა ბურთი მიზანს) საკუთარი კარი ბოლომდე დატოვა მშრალად. ისე, ერთ ეპიზოდში დეკანოსიძის შორეული დარტყმის შემდეგ ბურთი მაინც აღმოჩნდა ქვემოქართლელთა კარში, მაგრამ ამ ეპიზოდში გვერდითმა არბიტრმა მენთეშაშვილმა დავითნიძეზე თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა და მთავარმა მსაჯმა მეშკოვმა გოლი არ ჩათვალა. შესვენების შემდეგ „სიონი“ შეტევაშიც გამოცოცხლდა და დვალის მიერ სამიოდე მეტრიდან გაფლანგული მომენტის შემდეგ საწადელსაც მიაღწია — უკანასკნელ წამებზე თბილისელთა მეკარე ნადირაშვილმა ბავშვური შეცდომა დაუშვა და ქუცურუას გადამწყვეტი გოლი გაატანინა — 1:0.

**დანარჩენი შედეგები:** „ლოკომოტივი“ — „ბორჯომი“ 2:1, „კოლხეთი“ — „დინამო“ 0:0, „ტორპედო“ — „სპარტაკი“ 1:0, „ბათუმი“ — „ცხინვალი“ 0:0, „სოხუმი“ — „ზესტაფონი“ 0:1, „კახეთი“ — „თბილისი“ 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია“ — 35, „სიონი“ — 32, „ლოკომოტივი“ — 30, „დინამო“ — 29, „ამერი“ — 28, „ბორჯომი“ — 27, „ზესტაფონი“ — 24, „ბათუმი“ — 21, „კოლხეთი“ — 19, „დილა“, „კახეთი“ — 16-16, „ტორპედო“ — 13, „ცხინვალი“ — 12, „სოხუმი“ — 10, „სპარტაკი“ — 5, „თბილისი“ — 4 ქულა.

**XV ტურში ითამაშებენ:** „თბილისი“ — „ამერი“, „ცხინვალი“ — „კოლხეთი“, „ვიტ ჯორჯია“ — „ბათუმი“, „ბორჯომი“ — „დილა“, „სიონი“ — „ტორპედო“ (26 ნოემბერი), „ზესტაფონი“ — „კახეთი“, „დინამო“ — „სოხუმი“ (27 ნოემბერი), „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ (28 ნოემბერი).

* * *

**იტალია. XII ტური.** „რომა“ — „იუვენტუსი“ 1:4, „ფიორენტინა“ — „მილანი“ 3:1, „ინტერი“ — „პარმა“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ — 33, „მილანი“, „ფიორენტინა“ — 28-28, „ინტერი“ — 23 ქულა.

**ბომბარდირი:** ტონი („ფიორენტინა“) — 15 გოლი.

**შემდეგი ტური:** „იუვენტუსი“ — „ტრევიზო“, „მილანი“ — „ლეჩე“, „რომა“ — „ფიორენტინა“, „მესინა“ — „ინტერი“.

**ესპანეთი. XII ტური.** „რეალი“ — „ბარსელონა“ 0:3, „ხეტაფე“ — „ოსასუნა“ 0:0, „სელტა“ — „ატლეტიკო“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“, „ოსასუნა“ — 25-25, „სელტა“ — 23, „რეალი“ — 21 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“) — 11 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“ — „რასინგი“, „ოსასუნა“ — „ალავესი“, „ვალენსია“ — „სელტა“, „სოსიედადი“ — „რეალი“.

**ინგლისი. XIII ტური.** „ჩელსი“ — „ნიუკასლი“ 3:0, „უიგანი“ — „არსენალი“ 2:3, „ჩარლტონი“ — „მანჩესტერი“ 1:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“ — 34, „უიგანი“ — 25, „მანჩესტერი“ — 24, „არსენალი“, „ბოლტონი“ — 23-23 ქულა.

**ბომბარდირები:** ლამპარდი („ჩელსი“), ნისტელროი („მანჩესტერი“) — 10-10 გოლი.

**შემდეგი ტური:** „პორტსმუთი“ — „ჩელსი“, „უიგანი“ — „ტოტენჰემი“, „ვესტ ჰემი“ — „მანჩესტერი“, „არსენალი“ — „ბლექბერნი“, „ფულჰემი“ — „ბოლტონი“.

**გერმანია. XIII ტური.** „ბილეფელდი“ — „ბაიერნი“ 1:2, „ვერდერი“ — „ვოლფსბურგი“ 6:1, „ჰამბურგი“ — „დუისბურგი“ 2:0, „კიოლნი“ — „შალკე“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 34, „ვერდერი“ — 29, „ჰამბურგი“ — 28, „შალკე“ — 22 ქულა.

**ბომბარდირი:** კლოზე („ვერდერი“) — 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი“ — „მაინცი“, „შალკე“ — „ვერდერი“, „ლევერკუზენი“ — „ჰამბურგი“.

**საფრანგეთი. XV ტური.** „ლიონი“ — „ტრუა“ 2:1, „ბორდო“ — „პსჟ“ 0:2, „ოსერი“ — „ლილი“ 3:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 39, „პსჟ“, „ბორდო“ — 27-27, „ოსერი“ — 26 ქულა.

**ბომბარდირი:** პაულეტა („პსჟ“) — 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ნიცა“ — „ლიონი“, „პსჟ“ — „ლანსი“, „სენტ ეტიენი“ — „ბორდო“, „ლე მანი“ — „ოსერი“.

**რუსეთი.** უკანასკნელი ტური. ცსკა — „ალანია“ 4:3, „ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“ 1:1 (მასპინძელთაგან გოლი **მალხაზ ასათიანმა** გაიტანა).

**საბოლოო მდგომარეობა:** ცსკა — 62, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ — 56-56 ქულა.



◎ ჭიდაობა

# დავით ციმაკურიძის თასზე

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ტრადიციულად მართავს თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის სახელობის თასის გათამაშებას, რომელსაც ყოველწლიურად გლდანის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი მასპინძლობს. წლევანდელ V საერთაშორისო ასპარეზობაში, 1982-90 წლებში დაბადებული სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 275 მოჭიდავე მონაწილეობდა. ეს გახლდათ 2006 წლის კადეტთა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პირველი ეტაპი.**

ღონისძიების ორგანიზატორებმა დავით ციმაკურიძის სახელობის პრიზი 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულს, კაზრეთის ოლიმპიური სასწავლებლის მოჭიდავეს ლაშა ჯაყელს გადასცეს. გაგაცნობთ საერთაშორისო ტურნირის დანარჩენ გამარჯვებულებს: კოტე გავაშელი (ლ. თედიაშვილის სახელობის სკოლა), მატეოს საროიანი (სომხეთი), ვასილ მამულაშვილი (საგარეჯო), ოჰან გიგინიანი (სომხეთი), გარიკ მნაცაკანიანი (სომხეთი), თორნიკე როსტიაშვილი (საგარეჯო), ბექა ბუქური (ლ. თედიაშვილის სახელობის სკოლა), ოთარ გურატაძე (ქუთაისი), გიორგი ჩიტაშვილი (ყვარელი), თორნიკე ხიდაშელი (სოფელი გამარჯვება).

საერთაშორისო ტურნირის დასრულების შემდეგ შთაბეჭდილებები გაგვიზიარა ლეგენდარულმა ფალავანმა **ლევან თედიაშვილმა:** — „როცა ფილამ ჭიდაობის ხანგრძლივობა 2 წუთამდე შეამცირა, მისი მიზანი იყო უფრო საინტერესო და ეფექტური გაეხადა ბრძოლები. ჩემდა სამწუხაროდ, დღევანდელმა ასპარეზობამ დაკარგა მაყურებელთა ინტერესი ორ წუთში ნამდვილმა მოჭიდავემ უნდა მოასწროს ილეთის შესრულება, სინამდვილეში კი ხშირად იმის მომსწრენი ვხდებით, თუ როგორ ჯიკაობენ ხალიჩაზე ფალავნები. ჩემს დროს მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი თავისუფალი ჭიდაობა 3-4 დღეს გრძელდებოდა, რაც არაქათს გვაცლიდა სპორტსმენებს. XXI საუკუნეში კი ჭიდაობა ერთ დღეში მთავრდება, რაც მისასალმებელია. ჭიდაობას უნდა ჩამოვაშოროთ ისეთი მწვრთნელი, ვინც ქართულ ილეთებს არ ასწავლის თავის აღსაზრდელებს. ბევრმა პედაგოგმა თვითონ არ იცის ჩვენი ეროვნული საგანძურის — ქართული ჭიდაობის ილეთები. თავისუფალ ჭიდაობასაც უნდა ჰყავდეს მილიონერი პატრონები, როგორც პროფესიულ ჩოგბურთს, კრივსა თუ კალათბურთს. არქივს უნდა ჩავაბაროთ გამარჯვებულების სიგელებით, რკინისა და ჟეშტის თასებით დაჯილდოების „საზეიმო ცერემონიალი“. დროა ფულად პრემიებზე გადავიდეთ, როგორც ეს მოწინავე საზღვარგარეთულ სახელმწიფოებში ხდება“.

**შალვა ქირია**

**სურათზე:** ასპარეზობის ერთი მომენტი.

**რობერტ ბაგოიანის** ფოტო.



◎ სპორტულ ორბიტაზე

### კარატე-კავკასიურად

**მსოფლიო ჩემპიონატი კარატეში, რომელსაც კვიპროსის ქალაქი ლიმასოლი მასპინძლობს, დიდი სკანდალით აღინიშნა. ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე ორმა სპორტსმენმა — სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან — სიტყვიერი წაკინკლავების შემდეგ გადაწყვიტა,**



**აღარ დაეყოვნებინათ და ანგარიში მაშინვე გაესწორებინათ, რაც სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა. ინციდენტის წამოწყების მიზეზი, ალბათ, უკომენტაროდაც გასაგებია.**

აზერბაიჯანის პრესის ცნობით, ინციდენტის ინიციატორი სომეხი კარატისტი იყო. ხელჩართულ „ბრძოლაში“ სპორტსმენებმა გამოიყენეს ყველა ცნობილი ხერხი. სომეხი კარატისტი დასისხლიანებული ცხვირ-პირით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩხუბში მან რამდენიმე კბილიც დაკარგა.

ინციდენტმა მიიპყრო კარატეს საერთაშორისო ფედერაციის ყურადღებაც, რომელმაც ორივე გუნდი მოხსნა ამ ჩემპიონატიდან, ხოლო აზერბაიჯანის ნაკრებს ერთი წლით აუკრძალა ყველანაირ ტურნირში მონაწილეობა.

### „ვერცხლს“ კინაღამ სიცოცხლე შესწირა

**ალბათ უკვე იცით, რა „სამკვდროსასიცოცხლო“ ბრძოლა გაიმართა ფეხბურთში რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესი დევიზიონის ვერცხლის მედლებისთვის მოსკოვური კლუბების „სპარტაკსა“ და „ლოკომოტივს“ შორის.**

ერთ-ერთ თავგამოდებულ გულშემატკივარს ისე გაუხარდა „სპარტაკელების“ მიერ ვერცხლის მედლებისა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლების მოპოვება, რომ გადაეშვა ოთხმეტრიან თხრილში, რომელიც „ლოკომოტივის“ სტადიონის მინდორს ტრიბუნებიდან აშორებს.

„სასწრაფო დახმარების“ მანქანის მოსვლამდე „სპარტაკის“ ექიმებს მოუწიათ ერთგული გულშემატკივრის გონზე მოყვანა.

ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია ფეხბურთის ისტორიაში. ამას წინათ იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს ასეთი მარცხი მოპედიან გულშემატკივარს მოუვიდა.

### მაკბეტი — ცენტრალური მცველი?

**სწორედ რომ ბევრ ინგლისელ ფეხბურთელს შექსპირის ტრაგედიის ეს გმირი შოტლანდიის „აბერდინის“ ცენტრალური მცველი ჰგონია: ეს მაშინ, როდესაც „ჩალტონის“ რუსმა ლეგიონერმა ალექსი სმერტინმა პირდაპირ გადარია ბრიტანელები ინგლისური ლიტერატურის ფართო ცოდნით. გაზეთის The Sun წარმომადგენელი გაესაუბრა რუსეთის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანს და ბევრი საინტერესო ამბავი „გამოსტყუა“.**

გაირკვა, რომ რუსი ფეხბურთელი მარტო შექსპირის ნაწარმოებებს კი არა, კარგად იცნობს



ჩარლზ დიკენსის, განსაკუთრებით კი არტურ კონან დოილის შემოქმედებასაც. ალექსი ლონდონში ჩავიდა თუ არა, პირველ რიგში წავიდა ბეიკერ-სტრიტზე, შერლოკ ჰოლმსის მუზეუმში, შემდეგ კი ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსების მიერ აღწერილ ადგილებში იმოგზაურა.

ინგლისელები ძალზე გაოცებულნი არიან რუსეთელი ფეხბურთელის ცოდნით. თუმცა თავად სმერტინს უკვირს, რა აოცებთო...

ის როდესაც „ლოკომოტივიდან“ გადავიდა „ბორდოში“ — სამი მუშკეტერის სამშობლოში, რომლებსაც ბავშვობიდან ეთაყვანებოდა, სამი წლის განმავლობაში მთელი საფრანგეთი შემოიარა.

ახლა იმავეს აკეთებს ინგლისში. მას იმედი აქვს, რომ მისი შვიდი წლის ვაჟიშვილი ვლადიკი მალე დაიწყებს შერლოკ ჰოლმსზე წიგნების კითხვას.

### ვის გაახარებს ჰაიდი კლუმი?

**ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ 9 დეკემბერს ლაიფციგში უნდა გაიმართოს ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა. ეს ღონისძიება თავს მოუყრის სპორტისა და შოუ-ბიზნესის უამრავ ცნობილ ადამიანს. კენჭისყრაზე 3700 მოწვეულს შორის იქნება 32 წლის გერმანელი მოდელი და მსახიობი ჰაიდი კლუმიც. ამ დღეს ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასული 32 გუნდი გაიგებს თავისი მეტოქეების ვინაობას. ცერემონიაზე მიწვეულნი არიან ლეგენდარული ფეხბურთელებიც — არგენტინელი დიეგო მარადონა და ბრაზილიელი პელე.**

ჰაიდი ცნობილი გახდა 1992 წელს მიუნხენში სილამაზის კონკურსზე გამარჯვებით. ამის შემდეგ ის ნიუიორკში გადავიდა, სადაც მალე შეამჩნია ჟურნალის „სპორტს-ილუსტრეიტიდ“ რეპორტიორმა. ამ ჟურნალის გარეკანზე გამოქვეყნებულმა ჰაიდის ფოტომ ფურორი მოახდინა. ქალიშვილს კონტრაქტები შესთავაზეს „გუჩიმ“, „კრისტიან დიორმა“ და ბევრმა სხვა სახელგანთქმულმა ფირმამ, აგრეთვე პოპულარულმა ჟურნალებმა „ელ“, „ვოგ“, „მარი კლერ“ და რასაკვირველია, პრესტიჟულმა სარეკლამო სააგენტოებმა. სამსახიობო უნარი კი პოპულარულ სერიალებში გამოავლინა. მას „ამერიკის პირველი ლამაზმანის“ ტიტული მიაკუთვნეს.

შარშან მან მესამე ადგილი დაიკავა ჟურნალის Forbes მიერ შედგენილ ყველაზე მდიდარი მოდელების მსოფლიო რეიტინგში. სხვადასხვა ქმრისგან ორი შვილის დედა წელიწადში დაახლოებით 8 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ძირითად შემოსავალს რეკლამა აძლევს. ახლა მისი შემოსავალი უფრო გაიზრდება — რამდენიმე მომგებიანი კონტრაქტიც გააფორმა და პოპულარული რეალიტ-შოუს წამყვანიც გახდა.



◎ კალათბურთი

# ჩახედეთ კალენდარს

**შემოდგომაზე,** მოგეხსენებათ, **მხოლოდ წიწილებს როდი ითვლიან. რამდენიმე დღის წინათ კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის I წრის შედეგები შეჯამდა, სადაც თსუ „ნიკორას“ სახით უდანაკარგოდ მოასპარეზე გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი და ტურნირის უმთავრესი ფავორიტი გამოიკვეთა. ასე იცის ღონიერმა პატრონმა — ვინატროთ, რომ უნივერსიტეტელთა და „ავიამშენის“ მსგავსად, სოლიდური სპონსორები დანარჩენ კლუბებსაც გამოსჩენოდეთ.**

**ეროვნული ჩემპიონატი დღეს განახლდება. გთავაზობთ II წრის კალენდარს:**

**22 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| „მაქაბი“ — სსუ | 14.00 |
| თსუ „ნიკორა“ — სტუ | 16.00 |
| „დინამო“ — „ავიამშენი“ | 18.00 |



**24 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ქუთაისი — „აზოტი“ | 15.00 |

**29 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| „მაქაბი“ — „ავიამშენი“ | 14.00 |
| „დინამო“ — სტუ | 16.00 |
| სსუ — ქუთაისი | 18.00 |
| „აზოტი“ — თსუ „ნიკორა“ | 17.00 |

**5 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| სტუ — სსუ | 12.00 |
| „ავიამშენი“ — „აზოტი“ | 14.00 |
| ქუთაისი — „მაქაბი“ | 16.00 |
| თსუ „ნიკორა“ — „დინამო“ | 18.00 |

**9 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| „ავიამშენი“ — სსუ | 12.00 |
| „დინამო“ — „აზოტი“ | 14.00 |
| სტუ — ქუთაისი | 16.00 |
| თსუ „ნიკორა“ — „მაქაბი“ | 18.00 |

**14 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| „ავიამშენი“ — თსუ „ნიკორა“ | 14.00 |
| „ქუთაისი“ — „დინამო“ | 16.00 |
| სტუ — „მაქაბი“ | 18.00 |
| „აზოტი“ — სსუ | 17.00 |

**19 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| „დინამო“ — სსუ | 14.00 |
| „ავიამშენი“ — სტუ | 16.00 |
| თსუ „ნიკორა“ — ქუთაისი | 18.00 |
| „აზოტი“ — „მაქაბი“ | 17.00 |

**23 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| სსუ — თსუ „ნიკორა“ | 12.00 |
| სტუ — „აზოტი“ | 14.00 |
| ქუთაისი — „ავიამშენი“ | 16.00 |
| „მაქაბი“ — „დინამო“ | 18.00 |

## ⊙ გუშინ



ქაქუცა ჩოლოყაშვილის შთამომავლები გმირის საფლავთან.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## ⊙ ანეკდოტები...

— აბა, ძვირფასო, მოემზადეთ ყველაზე ცუდისთვის.
— რაო, ექიმო, ვკვდები?
— არა, უბრალოდ, ყველაზე ძვირიან წამალს გიწერთ.

* * *

— მიხო, ნუთუ დედა არ გეცოდება? ვერა ხედავ, რომ ყოველი შენი ასეთი გამოხტომა თითო ღერ ჭაღარას მიმატებს?
— არც შენ ყოფილხარ, დედი, ბავშვობაში ჩემზე უკეთესი, ნახე, ბაბო როგორ მთლად ჭაღარაა.

* * *

— ორი ახალი ამბავი მაქვს შენთვის, კარგი და ცუდი. რომლით დავიწყო? — ეკითხება ცოლი ქმარს.
— კარგით დაიწყე.

— უსაფრთხოების ბალიშმა ავარიისას კარგად იმუშავა...

* * *

„ახალი ქართველი“ სვანი პირად მდივანს ორ ფურცელს აწვდის და ეუბნება:



— ეს ორიგინალია, ესეც — ქსეროასლი. სწრაფად შეადარე ასლი დედანთან...

* * *

აილე ცხოვრებისგან ყველაფერი, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, დაიხსომე, სად აიღე.

* * *

რაც მეტი ცოდნა აქვს ადამიანს, მით მეტ სასარგებლო რჩევას იძლევა იგი, ხოლო რაც ნაკლები, მით — მეტს.

* * *

იპოვა კაცმა დოქი, გახეხა და იქიდან ჯინი ამოვიდა.
— აბა, ჩაიფიქრე ნატვრა.
— მინდა, რომ ყველაფერი მქონდეს.
— ადამიანო, შენ ყველაფერი გვქონდა!

* * *

არაფერი ისე ძალიან არ აფუჭებს განწყობას, თანაც ძალიან ცოტა ხნით, როგორც გაუხსნელი პარაშუტი.

* * *

ღმერთო, როგორ მაცოფებს ის, რომ ნერვული უჯრედები არ აღდგება!...

* * *

— ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, რუსეთი სულაც არ არის ყველაზე მსმელი ქვეყანა.
— ეს მონაცემები ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ რუსეთელი სტატისტიკოსები ყველაზე მსმელი სტატისტიკოსები არიან.

## ⊙ ფაქტი

# 16 გამარჯვება – [illegible]...

**რა თქმა უნდა, ამდენი ტრაბახი და ბაქი-ბუქი მხოლოდ დიდგულა, თავნება და საკუთარ შესაძლებლობებში ზედმეტად დარწმუნებულმა ხელისუფლებამ იცის, მაგრამ... ფაქტი ფაქტად რჩება — ეს ხელისუფლება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მაინც ჩვენ მოვიყვანეთ და ნებისმიერი საზოგადოება (ხალხი) ზუსტად ისეთ „დიდ კაცებს“ იმსახურებს, როგორიც თვითონ არის.**

საქართველო და ქართველი ხალხი ოდითგანვე დიდგულა იყო. ამიტომაც ხელმწიფის ცრუ დაპირებები, თითო-ოროლა კარგად დაწყებული საქმის ასმაგად წარმოჩენა, გაზვიადება და გაბუქება, არ ახალია, ძველია.

ისტორიულადაც სწორედ ზედმეტი დიდგულობის გამო არაერთხელ წაგვიტეხია ცხვირპირი. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ხვალ-ზეგაც ასე იქნება. ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ადამიანს ადვილად ავიწყდება წარსული და ამიტომაც ებღაუჭება მომავლის იმედს.

გახსოვთ, ალბათ, 1994 წელს, გაჩანაგებულ საქართველოში, ედუარდ შევარდნაძემ რა ზარ-ზეიმით, რწმენით და იმედით გამართა საერთაშორისო ფორუმი „კულტურათა დიალოგი“...

თუ გადავხედავთ ვარდების რევოლუციის მეორე წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებათა პროგრამის მთავარ „მოვლენას“, ორდღიან ფორუმს დევიზით — **„ევროპის განთავისუფლების ახალი ტალღა, დემოკრატია და ტრანსფორმაცია“**, დავრწმუნდებით, რომ გაცილებით უფრო დიდ საერთაშორისო პომპეზურობასთან და პოლიტიკურ სცენაზე მოჩვენებით თამაშთან გვაქვს საქმე, ვიდრე ეს „კულტურათა დიალოგის“ დროს იყო.

მაშინაც (1994 წელს!) და ახლაც (2005 წელს!), საერთაშორისო ღონისძიებებს პრაქტიკული შედეგი ნული ჰქონდა და ექნება.

იქნებ, გამაგებინოს ვინმემ, რას ნიშნავს ფორუმის მეორე პანელი **„გაკვეთილები რევოლუციის შემდგომი რეფორმებიდან“,** რომელიც დღეს 22 ნოემბერს სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გაიმართება და „ვარდების რევოლუციის“ მესვეურთა წამოწყებული რეფორმების გაკვეთილებზე იმსჯელებს...

ყველა რეფორმა, მათ შორის განათლებისაც, ეს-ესაა დაიწყო და ხუთი წლის შემდეგ რა შედეგს გამოიღებს, არავინ იცის. მაშ, რა „გაკვეთილებსა“ და გამოცდილებაზე ვლაპარაკობთ?

ხომ არის ეს მოჩვენებითობა?

ისე, ფორუმის მონაწილეებს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გარდა, ამერიკიდან (ვიდეოჩართით) აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი და სენატორი ჯონ მაკკეინიც მიესალმებიან.

ფორუმზე ძირითადი გამომსვლელია ისრაელის ყოფილი მინისტრი, დისიდენტი ნათან შარანსკი. ფორუმის ერთ-ერთი წამყვანია ფრანგი ფილოსოფოსი ანდრე გლუკსმანი.

ქართული ვარდების რევოლუციის „გაკვეთილებს“ შეკრებილთ გააცნობს საბერძნეთის საგანგებო დავალებათა ელჩი ალექს რონდოსი. სიტყვებით გამოვლენ აგრეთვე





„გარდამავალ დემოკრატიათა პროექტების“ პრეზიდენტი ბრუს ჯექსონი, სერბეთის დელეგაციის ხელმძღვანელი რუჟიცა ჯინჯიჩი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზი.

ამ ძვირფას სტუმრებს შორის ყველაზე წარმტაცი, აღმატებული თანამდებობა აქვს ბატონ ბრუს ჯექსონს — **გარდამავალ დემოკრატიათა პროექტები.** როგორც ჩანს, დემოკრატია, თურმე, ქართულ ზმნასავით, გარდამავალიც ყოფილა და გარდაუვალიც. მიდი და „აუღლე“ რამდენიც გენებოს...

ფორუმი იმსჯელებს კიდევ ერთ აღმაფრთოვანებელ საკითხზე — საქართველოს **„ვარდების რევოლუცია“: პროგრესი და გამოწვევები“.** მისი წამყვანი ვიცე-პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი იქნება.

დიდ პროგრესზე ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ... გამომწვევად, ნამეტნავად გამომწვევად რომ იქცევა ჩვენი ხელისუფლება, — წყალი არ გაუვა.

უცხოელებს მოხიბლავს, აგრეთვე, ფორუმის კიდევ რამდენიმე თემატიკა — **„დემოკრატიული ტრანსფორმაციის რეგიონული ტენდენციები“, „რატომ არის რეგიონში დემოკრატია მნიშვნელოვანი: ხედვა გარედან“** და ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო პანელი — **„დემოკრატიული მიღწევების განმტკიცება“.**

ყოველივე ამის შემდეგ, მოდი და ნუ აღიარებ: ნებისმიერ ფორმაციაში (წყობილებაში), ნებისმიერი ხელისუფლების „დღეგრძელობის“ საზომი იყო, არის და იქნება დამაჯერებელი თვალთმაქცობა, ტრაფარეტული სიტყვების რახარუხი, სანახაობა (ტაშ-ფანდური) და პურმარილი.

ფორუმის მონაწილეთათვის და ჩვენი ხალხისთვისაც, დღეს-ხვალ ყველაზე გასაგები და მისაღები იქნება სწორუპოვარი ბანკეტები სარაჯიშვილის სახელობის სადეგუსტაციო ცენტრში, „საქართველოს ბანკის“ საბანკეტო დარბაზი, თვით მასპინძელ სასტუმროებში.

არ დაგვავიწყდეს, რომ „დემოკრატიის მიღწევების განმტკიცებაზე“ ბატონ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ისაუბრებენ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუტელი, რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასესკუ, — რა თქმა უნდა, თუ მოახერხეს და ჩამობრძანდნენ.

23 ნოემბერს, დაახლოებით 17 საათზე, თავისუფლების მოედანზე მოეწყობა თავისუფლების მონუმენტის საძირკვლის ჩაყრა. საათნახევრის შემდეგ კი პარლამენტის წინ მდებარე სახელდახელო სცენაზე (მისი მოწყობის გამო ერთი კვირაა რუსთაველის პროსპექტი გადაკეტილია!) გაიმართება ვარდების რევოლუციის ორი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

საქართველოს ეროვნულ ჰიმნს, გუნდთან ერთად, იმღერებს ჩვენი სწორუპოვარი ბანი პაატა ბურჭულაძე. კონცერტში მონაწილეობენ მომღერალი ნატო მეტონიძე, პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი, ეროვნული საგუნდო კაპელა, ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრის საბალეტო დასი, ცეკვის თეატრი, „სუხიშვილები“, ანსამბლი „ფესვები“, საპატრიარქოს გუნდი და ევროპაში მოღვაწე პოპულარული მომღერალი ქეთი მელუა.

კონცერტს დაამშვენებს „რევოლუციური ხორუმი“, რომლის მუსიკა ნიკა მემანიშვილს ეკუთვნის. კონცერტის რეჟისორია დავით დოიაშვილი.

ერთი სიტყვით, დიდი სიამოვნება გველის.

**სპარტაკ ქოზულია**

## ⊙ მოვლენა

# „მთაწმინდის მთვარე“ ნისლიან ალბიონში

**2005 წლის 17 ნოემბერს, გალაკტიონის დაბადების დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.**

ეს ნამდვილი ზეიმი იყო, ზეიმის „დიასახლისი“ კი გახლდათ უნივერსიტეტის ენებისა და თარგმნის კათედრის გამგე, პროფესორი ინესა მერაბიშვილი. მან თავის მიერ ინგლისურად თარგმნილი გალაკტიონის ლექსების ორენოვანი კრებული წარუდგინა საზოგადოებას.

წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის მხარდაჭერით. წიგნის რედაქტორია ცნობილი ბრიტანელი ფილოლოგი, ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ ა. კარდველი, რეცენზენტები: თსუ პროფესორი ლილი გოქსაძე და დოცენტი ლალი კერესელიძე. წიგნი მხატვრულად გააფორმა ვახტანგ რურუამ.

პრეზენტაციას ფართო საზოგადოება ესწრებოდა. მთარგმნელმა შინაარსიანად, ძალზე საინტერესოდ ილაპარაკა გალაკტიონის პოეზიის თავისებურებასა და თარგმანში ხორცშესხმის საკითხებზე. სხდომის დამსწრე დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დონალდ მაკლარენმა სიტყვით მიმართა საზოგადოებას და ხაზი გაუსვა გალაკტიონის პოეზიას ინგლისურ პოეზიასთან მიმართებაში, რისი საშუალებაც როგორც მან აღნიშნა, ამ თარგმანმა მისცა. ელჩმა ნება ითხოვა საზოგადოებისათვის წაეკითხა ინგლისურად ამეტყველებული გალაკტიონი. მისი არჩევანი ორ ლექსზე შეჩერდა: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, რომელიც მას XIX საუკუნის ინგლისელ პოეტს რობერტ ბრაუნინგს მოაგონებს და „სადღეგრძელო იყოს მისი“, რომელიც, ქართულ ხასიათს განსაკუთრებით გამოხატავს.

საზოგადოებისთვის საინტერესო აღმოჩნდა გალაკტიონის შვილობილის, ნუნუ ებანოიძის გამოსვლა, ქალბატონისა, რომელმაც 16 წელი დიდ პოეტთან ერთ ჭერქვეშ იცხოვრა.



პროფესორი ინესა მერაბიშვილი პრეზენტაციაზე.

დარბაზში დასვენებული იყო გალაკტიონის ერთადერთი ნიღაბი, რომელიც მას გარდაცვალებისას აუღეს. იგი დღეს თბილისის უნივერსიტეტის გალაკტიონის კაბინეტის კუთვნილებაა. ამ ნიღაბის ისტორია საზოგადოებას უამბო გალაკტიონის სემინარის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რევაზ მიშველაძემ.

ნიღაბი გალაკტიონის იმ მშვენიერი პორტრეტის ფონზე იყო დასვენებული, რომელიც წიგნის ყდაზეა გამოსახული. სხდომის დაწყებისას ნიღაბს საპატიო ყარაულში ედგა ორი მოსწავლე — ერეკლე და თორნიკე კოპლატაძეები, რომლებიც ამ პორტრეტზე გამოსახული გალაკტიონის მსგავსად იყვნენ გამოწყობილნი.

სხდომის მეორე ნაწილი მიეძღვნა გალაკტიონის ლექსებისა და თარგმანის კითხვას. ქართულად კითხულობდა უნივერსიტეტის დოცენტი კახა ლორია, ინგლისურ თარგმანს — თავად მთარგმნელი. წაკითხვა დაიწყო გალაკტიონის აუდიო ჩანაწერით „მთაწმინდის მთვარე“, რომელსაც რიტმსა და ჰარმონიაში მიჰყვა მთარგმნელი.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას ქალბატონ ინესას ამ მშვენიერ თარგმანებზე.

**„თარგმანი გაწაფული და ფაქიზი ხელითაა შესრულებული. პროფესორმა მერაბიშვილმა წარმატებით ააჟღერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, ხოლო დედნისეული ტექსტის რთული მეტაფორები არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სიზუსტით აამეტყველა ინგლისურ ენაზე. ის, რომ ამ თარგმანებში**





**მკითხველი ვერ გრძნობს უცხო წყაროს არსებობას, ეს მთარგმნელის ოსტატობის მაჩვენებელია. ქართველი პოეტები ძალზე ნაკლებად არიან ცნობილი ინგლისურენოვანი სამყაროსათვის და პროფესორმა მერაბიშვილმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას იმით, რომ ერის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ხელმისაწვდომი გახადა ინგლისელი მკითხველისათვის. მარტო ეს ფაქტი, ჩემი აზრით, უკვე ამართლებს ამ კრებულის გამოქვეყნებას, რასაც მარად დაამშვენებს თავად მთარგმნელის ნიჭიერება“.**

*პროფესორი რიჩარდ ა. კარდველი*

**„ამ თარგმანების წყალობით გალაკტიონი გაამდიდრებს დიდად გამოცდილ ინგლისელ მკითხველს ახალი ხატებითა და სახეებით და სამყაროს ორიგინალური აღქმით“.**

*ლილი გოქსაძე*

**„ეს ლექსები ინგლისური ლექსებია. თუ არ მეცოდინებოდა, რომ ჩემს წინაშე თარგმანია, მივიჩნევდი, რომ ის ინგლისურ ენაზე შექმნილი დედანია, თუმც იქ საქართველოზეა საუბარი. ეს ხომ ძალზედ იშვიათი მიღწევაა ნებისმიერ თარგმნილ ლიტერატურაში და, განსაკუთრებით, პოეზიაში. აშკარაა, რომ მის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულს რომ ხელეწიფება.**

**მსურს მადლობა ვუთხრა პროფესორ მერაბიშვილის იმისათვის, რომ მაზიარა გალაკტიონს, რომლის შემოქმედება, უდაოდ, გაცილებით უფრო ფართო აღიარებას იმსახურებს. ინესა მერაბიშვილის, როგორც საქართველოს კულტურის ელჩის სამსახური, ნამდვილი ლოცვა-კურთხევაა მსოფლიოს პოეზიის თაყვანისმცემლებისათვის, რომელთაც მისი ღვაწლი ლიტერატურაში მომავალშიც დიდხანს ემახსოვრებათ“.**

*რობერტ ჯ. გიბსონი*
*ამერიკელი დიპლომატი.*

კრებულის მომდევნო პრეზენტაცია 2006 წლის იანვარში გაიმართება ლონდონში.

**სანდრო ალექსიძე**

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება

ოთარ სოლომონიას

ცნობილი მეცნიერის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, ენერგეტიკის ინსტიტუტის კოლექტივს.

---

გ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ენერგეტიკისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი

ოთარ სოლომონია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და ენერგეტიკის აკადემიის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აღნიშნული აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

ოთარ სოლომონია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

### გრიგოლ (გრიშა) ვეკუა



მეორე მსოფლიო ომის, თითო-ოროლად დარჩენილ ვეტერანთა სახელოვან რიგებს, კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი გრიგოლ (გრიშა) ვეკუა გამოაკლდა.

გრიგოლ ვეკუა დაიბადა 1917 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ლესიჭინაში. ამავე სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. იბრძოდა უკრაინის მესამე ფრონტზე. აქტიური მონაწილეობა მიიღო ტაგანროგის, დნეპროპეტროვსკის, პოლტავას, ვერხდნეპროვსკის გათავისუფლებაში. ფრონტზე ყოფნისას დაიჭრა ოთხჯერ, მათ შორის ერთხელ მძიმედ.

გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისას დავალების დროზე და უნაკლოდ შესრულებისათვის დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით და ცხრა მედლით.

ფრონტზე ყოფნის პერიოდში მიღებული ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის 4 მადლობა. 1944 წლის ნოემბერში, როგორც მძიმედ დაჭრილი, დემობილიზებული იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან.

ჭრილობების მოშუშების შემდეგ ჩაერთო შრომის მძიმე ფერხულში, მას სხვადასხვა დროს დიდი წარმატებით უმუშავნია: ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირად, ჩხოროწყუს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საამქროს უფროსად.

1950 წელს გადაიყვანეს ჩხოროწყუს ყველ-კარაქის საწარმოს დირექტორად, სადაც მან დიდი წარმატებით იმუშავა 30 წლის განმავლობაში.

ყველგან, სადაც გ. ვეკუა მუშაობდა, თან სდევდა ღრმა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. დავალების დროზე შესრულებისა და მუყაითი შრომის დაუოკებელი ჟინი, რისთვისაც არაერთხელ იყო დაჯილდოებული.

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 მაისის განკარგულებით გ. ვეკუა დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

დიდია გ. ვეკუას დამსახურება სამშობლოსა და ერის წინაშე.

გრიგოლ ვეკუას საბრძოლო და შრომით დამსახურებას დავიწყების ჟანგი არ მოეკიდება.

**ოჯახი**

## გახსენება



### მანუჩარ ტურძელაძე

მანჩო, რა შეიძლება გითხრათ... როგორ გავიდა ცრემლებით სავსე ერთი წელიწადი... ყველაზე მძიმე და აუტანელი იგი შენი უსაზღვროდ მგლოვიარე მეუღლისათვის იყო, რომელსაც ცრემლი არ შეშრობია და რომლისგანაც, ალბათ გიგაც გრძნობდა ტკივილსა და საწუხარს. შენი პატარა გიგა, რომელიც ასე ძალიან გგავს...

ზუსტად ერთი წლის წინათ სენისაგან დატანჯულმა მიაშურე მარადისობის წიაღს, მუდმივ სამყოფელოს და ამქვეყნად შენიანების ცრემლიანი სახე და დაწყლულებული გული დატოვე. ნეტა თუ ხედავ, როგორ გნატრობს და გიგლოვს ნინო, როგორ უჭირს უშენობა... გიგა თუ აძლებინებს, მისი სიყვარული თუ მატებს მხოლოდ ძალას...

ტკივილით და ტანჯვით წახვედი. გვჯერა, იქ მოგიშუშდებოდა ჭრილობები და იქ დაგიამდებოდა ყველა ტკივილი, მაგრამ შენს პატარა, ლამაზ ოჯახს გაუნელებელი დარდი დაუტოვე...

შენი მონატრება და შენი მოგონება არასოდეს გაქრება, მანჩო. განისვენე მშვიდად და შენი უზომოდ ერთგული ოჯახი იგულე მოყვარულ მეგობრებთან. ჩვენ ყოველთვის ნინოს და გიგას გვერდით ვიქნებით...

**ნინოს მეგობრები.**

---



მეუღლე მაყვალა, შვილები ნარგიზა, ნუგზარი, და დალი, ძმა ბუხუტი, რძლები რუსიკო კაშია, ნუნუ ფხაკაძე, მძახალი ეთერ ჩირგაძე, შვილიშვილები ნათია, სოფო, ბელა, გიგა, სიძეები ვაჟა ნადირაშვილი, ლევან მაღლაკელიძე, გია დადუნაშვილი, რეზო აბაშიძე, შვილთაშვილები ნინიკო, ანუკი, ნათია, ნიკა, ტატო, ძმისწულები ჭაბუკი, კახა, ბესიკი, ბაკური კიკნაძეები, დისწულები მიშა, ლევან ნადირაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დუშიკო ვენედიქტეს ძე კიკნაძე

დაკრძალვა ქ. ქუთაისში 24 XI 14 სთ, ჯავახიშვილის I შესახვევი № 22.

---



მეუღლე გულიკო, შვილები დავითი, ნინო ცირეკიძეები, რძლები ირინა იობიძე, ანა სირაძე, სიძე ზაალ რუხაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუბენ ლევანტის ძე ცირეკიძე

პანაშვიდი: 24, 25 XI, 16 სთ. მის: თევდორე მღვდლის 15 გამოსვენება 26 XI 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან. (საბურთალოს სასაფლაო).

---



ძმა ვახტანგ ცირეკიძე, რძალი რაისა სალაძე, ძმისწულები კობა, კახა, რძალი მაგდა დადუნაშვილი-ცირეკიძე, ძმისშვილიშვილი ანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

რუბენ ცირეკიძის

გარდაცვალებას.

---

მეუღლე უშანგი მუჯირი, შვილი ხათუნა, სიძე ლევან რამიშვილი, შვილიშვილები ლუკა, მარიამი, ძმა ნუგზარ ბერიშვილი, ძმისწული ლელი ბერიშვილი ოჯახით, მული მზია, მულიშვილი მაია კილურაძე შვილებით, მაზლი ზურაბ მუჯირი მეუღლით, მაზლიშვილი მამუკა მუჯირი ოჯახით, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

გულნარა ჯაში-მუჯირის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 22, 23 XI 17 სთ, დაკრძალვა 24 XI 14 სთ. შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქუჩა № 15.

---

შიო, ვიტალი, ნუგზარი და შოთა სულამანიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

ვახტანგ სულამანიძის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ნანული, გურამ ახრახაძეები, რძალი ლალი წივწივაძე ოჯახებით იუწყებიან მამის

ვლადიმერ (ლადო) ახრახაძის

გარდაცვალებას

პანაშვიდი 20, 21 XI 16 სთ, დაკრძალვა 22 XI 16 სთ. ბარნოვის 71

---

ვახში და არნოლდ ჟვანიები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ

გრიშა ვეკუას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.